ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

ხუთშაბათი, 14 თებერვალი, 2013 №37 (6038) ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“
+
მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები ტომი 1
ამერიკული ზღაპრები
6 ლარი



კობა დავითაშვილმა და სერგო რატიანმა „მაესტროზე“ ერთმანეთს ურტყეს

გვ.5

მომხდარს ნაციონალები სავანგებო ბრიფინგით გამოეხმაურნენ. დეპუტატმა გიორგი გაბაშვილმა მომხდარში ბიძინა ივანიშვილი დაადანაშაულა.



სააკაშვილის ესკორტს ზუგდიდში კვერცხები ესროლეს

გვ.2

გვ.4 ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთთან აპირისპირებს“

გვ.2 თეა წულუკიანი: „მე არ მეყო 100 დღე, რომ სერიოზული ცვლილებები წამომეწყო“

გვ.2 რატომ მალავდა ჯანდაცვის სამინისტრო ღორის გრიპის შემთხვევებს

როდის გაიზრდება ექიმთა ხელფასები?

გვ.3 გელა ნიკოლაიშვილი: „უგულავა დაკითხვაზე პოლიციას ძალით უნდა მიეყვანა“

გვ.6 ჯონდი ბაღათურია: „ნაციონალებთან დიალოგი არ შეიძლება“

6 თებერვლიდან!
„ახალი თაობა“
+
ჩე გევარა
8 ლარი



6 ნიკოლოზ მჟავანაძე: „მადნეული“ საქართველოს ეკოლოგიას აჩანაგებს“

5 ბიძინა გიორგობიანი: „საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გარედან ვერ ვუყურებ“

7 რა უნდა გააკეთოს ივანიშვილის მთავრობამ?

4 ვოვა არუთინოვის დედა შვილის საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს

რატომ მალავდა ჯანდაცვის სამინისტრო ღორის გრიპის შემთხვევებს

მერი ნამორაძე

ღორის გრიპის გავრცელებასთან დაკავშირებით წელს დიდი აჟიოტაჟი არ ამტყდარა, რაც გამოვლენილი ავადობის შემთხვევების სიმცირეს მიეწერება. თუმცა, გრიპის სეზონი ჯერ კიდევ ძალაშია და, არ არის გამორიცხული, ამა თუ იმ ტიპის ვირუსმა თავი თებერვლის ბოლოს შეგვახსენოს. ჯანდაცვის სამინისტროში ამბობენ, რომ გარდაუვალი კანონზომიერებაა გრიპის სეზონის დადგომა და წინასწარ მოსახლეობის გაფრთხილებასაც თავისი წესი და რიგი აქვს. რადგან გრიპით გარდაცვალების შემთხვევა წელს ბევრი არ იყო, ჯანდაცვის სამინისტრომ არ ჩათვალა საჭიროდ, განსაკუთრებულად გაემახვილებინა ყურადღება ღორის გრიპზე.

გუშინ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ჯანდაცვის მინისტრმა აღნიშნა, რომ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ გაფრთხილებებისა და მზადყოფნის ხუთი დონეა მოწოდებული. მეოთხე დონეა პანდემია, მეხუთე დონე – განსაკუთრებით დიდი მასშტაბების პანდემია. რეალურად საქართველოში არსებულ ვითარებას რაც შეეხება, არის მზადყოფნის პირველი-მეორე დონე. პანდემიად ვითარებას სპეციალისტები მაშინ აფასებენ, როცა დაავადება რამდენიმე ქვეყანაში ვრცელდება; ეპიდემიად – ერთ არეალში, ერთ ქვეყანაში ფართოდ გავრცელების შემთხვევაში, როცა არსებული სეზონის დროს შემთხვევათა რაოდენობა 1,5-2-ჯერ მეტია, ვიდრე წინა, ანალოგიურ სეზონზე. მინისტრის ინფორმაციით, გასულ წელს, ანალოგიურ სეზონზე ფატალურ შემთხვევათა რაოდენობამ 53-ს მიაღწია.

– ორმოცდაცამეტივე ტრაგედიაა და ადამიანები დგანან ამის უკან. წელს ეს იყო სამი შემთხვევა, ასევე დიდი ტრაგედიაა და ვუსამძიმრებ სამივე ოჯახის წევრს. ციფრებს თუ შევადარებთ, თავისთავად ცხადია, რომ შარშანდელთან თუ შარშანწინდელთან შედარებით ეს ციფრები ბევრად დაბალია. რაც შეეხება განსაკუთრებულ ეპიდსაშიშროების გაფრთხილებებს, ამას თავისი წესი და კანონი აქვს და გაფრთხილება დგება შესაბამის შემთხვევაში, შემთხვევების მატებისას. ზოგად რეკომენდაციებს კი დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი რეგულარულად ავრცელებს, როგორიცაა ხელის დაბანა, გაციების შემთხვევაში თავშეყრის ადგილებში მოხვედრიდან თავის არიდება... ამ მხრივ რაიმე განსაკუთრებული მდგომარეობა არ არის. რა თქმა უნდა, ვერიდებით მოსახლეობის ზედმეტ შეშინებას, თუმცა ჯანდაცვის სამინისტრო ყოველთვის მზად არის, რამდენიმე წუთის განმავლობაში შეიძლება მესამე, მეოთხე და მეხუთე დონეზე გადასვლა. ამის გამოცდილება სამინისტროს აქვს და საჭიროების შემთხვევაში გამოიყენებს, – აღნიშნა მინისტრმა.

როდის გაიზრდება ექიმთა ხელფასები?

მაინც რა ტიპის გრიპის ვირუსი ცირკულირებს წელს საქართველოში? კლინიკურად დადასტურდა „ეიჩ-1, ენ-1“ ანუ ე.წ. ღორის გრიპის ვირუსის რამდენიმე შემთხვევა. ზოგადად სეზონური გრიპით გამოწვეული სიკვდილობა რომელიც შეიძლება იყოს „ეიჩ-1, ენ-1“ ან მრავალი სხვა ტიპის ვირუსით გამოწვეული, საშუალოდ 0,25%-ს აღწევს. ორი წლის წინ დადასტურებული ღორის გრიპის ანუ „ა“ ტიპის ვირუსით გამოწვეული სიკვდილიანობა შეადგენდა 0,15, ანუ უფრო ნაკლები, ვიდრე ჩვეულებრივი სეზონური გრიპისგან. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში ამბობენ, რომ 2012-13 წლების გრიპის სეზონზე (სეზონი იწყება წლის მე-40 კვირიდან და მთავრდება შემდეგი წლის მე-20 კვირას) გრიპის ვირუსის პირველი ლაბორატორიული დადასტურება დაფიქსირდა 48-ე კვირაში, რაც გულისხმობდა ამ სეზონზე გრიპის ვირუსის აქტიურ ფაზაში შესვლის დასაწყისს.

მიმდინარე სეზონის განმავლობაში ლაბორატორიულად დადასტურებულია გრიპის 72 შემთხვევა. მათ შორის „ბე“ ტიპის – 5 და ა-ეიჩ-1-ის 67 შემთხვევა.

ახალი წლის მესამე კვირიდან ქვეყანაში დაფიქსირდა გრიპისმაგვარი დაავადებები და მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექციების მატების ტენდენცია. მსოფლიო გამოცდილებით, გრიპის სეზონური მატება შენარჩუნებული იქნება მომდევნო რამდენიმე კვირის განმავლობაში. ასე რომ, გართულების მაღალ რისკჯგუფებში შემავალი ადამიანები – დიაბეტით დაავადებულები, მცირე და ხანდაზმული ასაკის ადამიანები, ორსულები და გულისა და სასუნთქი სისტემის ქრონიკული დაავადებით შეპყრობილნი განსაკუთრებით უნდა უფრთხილდნენ ვირუსის შეყრას.

გუშინ სერგეენკო ხელისუფლების ყოფილ წარმომადგენელთა დაკითხვებსაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ვერანაირ დრამატიზმს ამაში ვერ ხედავს:

– თუ აღმოჩნდება, რომ ყველაფერი რიგზეა, დამთავრდება ეს დაკითხვა და ყველა დაუბრუნდება თავის საქმიანობას. გაჩნდა კითხვები? ამ კითხვებს უნდა გაეცეს პასუხი. ეს აპრიორი არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანი დამნაშავეა ან ესა თუ ის პროექტი იყო კორუფციული. თუ მართლები არიან ეს ადამიანები, ამით დამთავრდება ყველაფერი. ასე მეც ვიყავი დაკითხვებზე საათების განმავლობაში 2012 წლის მანძილზე, მაგრამ პრეტენზია არასოდეს გამომითქვამს. გაუჩნდათ კითხვები საგამოძიებო ორგანოებს? გავეცი პასუხი და დასრულდა ამით ყველაფერი. ამიტომ არ გვინდა ამის დრამატიზება, – განაცხადა სერგეენკომ.

როგორც საზოგადოებისათვის ცნობილია, ახალი ხელისუფლება თებერვლის ბოლოდან აპირებს მასობრივად ხელმისაწვდომი გახადოს სამედიცინო სერვისი ქვეყნის მთელი მოსახლეობისათვის. ჯანგატეხილებს ამით გარკვეული შვება უნდა მიეცეთ,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

თეა წულუკიანი: „მე არ მეყო 100 დღე, რომ სერიოზული ცვლილებები წამომეწყო“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა სამინისტროს 100-დღიანი მუშაობის შედეგები შეაჯამა. დიპლომატებთან და მედიის წარმომადგენლებთან გამართულ შეხვედრაზე წულუკიანმა იმ პროგრამებსა და პროექტებზე ისაუბრა, რომლებიც გასული სამი თვის მანძილზე იუსტიციის სამინისტროსთვის პრიორიტეტული იყო.

მინისტრმა პრესასთან სამინისტროს პრიორიტეტულ და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. წულუკიანის განცხადებით, დაგეგმილია მართლმსაჯულების სისტემის რეფორმა, ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს განსჯადობის გაფართოება, ცვლილებები შრომის კანონმდებლობაში, ყოფილ მსჯავრდებულთა რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის პროექტის განხორციელება, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, აიდი ბარათისადმი დამოკიდებულების კვლევა და ცვლილებები კანონში „ნოტარიატის შესახებ“.

– საკითხების პრიორიტეტულობა მათმა აქტუალურობამ განსაზღვრა. მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის მიზანი დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბებაა, რომელიც საქართველოს მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობის ნდობით ისარგებლებს. ყოფილი მაღალჩინოსნების საქმეთა განხილვაში ნაფიც მსაჯულთა ჩართვა, მართლმსაჯულების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას უზრუნველყოფს. შრომის კანონმდებლობის რეფორმა დასაქმებულის უფლებების დაცვისკენაა მიმართული. მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნა კი – საქართველოს სამართლებრივ სივრცეში კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გადახედვის შესაძლებლობას გააჩენს, რაც ძალიან მნიშვნელოვანია იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც თავს უსამართლობის მსხვერპლად მიიჩნევენ, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

მინისტრის განცხადებით, იუსტიციის სამინისტრომ ცვლილებების პროექტები საზოგადოებას დამტკიცებამდე გააცნო, რის შედეგადაც არასამთავრობოებმა და ექსპერტებმა ყველა პროექტი განიხილეს.

წულუკიანმა თავის წინამორბედზე განაცხადა – არ დასცალდა, რომ 100 დღეში იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის პროკურორებისთვის მიეხედა.

– მე არ მეყო 100 დღე, რომ სერიოზული ცვლილებები წამომეწყო. 100 დღეში არ დამცალდა, რომ მთავარ პროკურორთან ერთად ადეიშვილის იმ პროკურორებისთვის მიმეხედა, რომლებიც ოჯახებს აუბედურებდნენ, ბიზნესმენებს იბარებდნენ და ატერორებდნენ, ვიდრე ისინი ჩუქების შესახებ ხელშეკრულებას ხელს არ მოაწერდნენ. 100 დღის განმავლობაში ეს არის ერთადერთი, რისი დაწყებაც ვერ მოვახერხე, – აცხადებს იუსტიციის მინისტრი.

იუსტიციის მინისტრმა ამნისტიის შესახებაც ისაუბრა.

– „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ციხეებში გაჩნდა არაერთი უკანონო პატიმარი. მართლმსაჯულებას ჰქონდა ძალიან ბევრი ხარვეზი და სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილია დაუსაბუთებელი განაჩენები. ადამიანები ციხეში სასჯელებს იხდიან და გვეკითხებიან, თუ რატომ. დაუსაბუთებელი ქართული განაჩენების ქვეშ სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლო იძირება. ჩვენ შემოგვაქვს კანონპროექტი, რომლის საფუძველზეც იქმნება მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, რომელიც 2004-2012 წლებში გამოტანილ უკანონო განაჩენებს გადახედავს და შემდეგ თავის დასკვნას საბოლოოდ მართლმსაჯულების ორგანოს გადასცემს. არაერთი კრიტიკა დავიმსახურეთ პოლიტპატიმრების თემასთან დაკავშირებით. მინდა ვთქვა, რომ დიახ, საქართველოს ჰყავდა და ჰყავს პოლიტპატიმრები. დიახ, ეს ადამიანები, რაც შეიძლება, მალე იყვნენ გასათავისუფლებელი და ის, რომ ჩვენ არ გვქონდა დრო, რომ უფრო მეტი გარანტიები გამოგვეყენებინა მათი გათავისუფლების პროცესში, ეს არ არის ჩვენი ხელისუფლების ბრალი. ეს იმ პროცესის ბრალია, რომელსაც ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა ერქვა. ჩვენ როდესაც მოვედით ხელისუფლებაში, გვევალებოდა, პოლიტიკური ნიშნით დევნილების სასწრაფოდ გათავისუფლება. ეს რომ არ გაგვეკეთებინა, არ ვიქნებოდით ღირსი ხელისუფლებაში დარჩენის, მაგრამ დღეს ციხეში ათეულ ათასობით უკანონო პატიმარი რჩება და მათ სჭირდებათ სამართლებრივი სწორი გარანტიები, რომ საქმეების დეტალური გადასინჯვა მოხდეს, – განაცხადა წულუკიანმა და დასძინა, რომ მათთვის ეს გარანტიები სწორედ ამ კომისიის შექმნით იქმნება.

თეა წულუკიანმა ჟურნალისტებთან ასევე ისაუბრა სამინისტროში წინა ხელისუფლების მიერ დასაქმებულ თანამშრომლებზე, რომლებიც, მისი განცხადებით, სულ რამდენიმე მათგანის გარდა სამსახურიდან არავის არ დაუთხოვია.

წულუკიანი ამბობს, რომ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ იუსტიციის სამინისტროში დასაქმებული 155 მოხელისგან მხოლოდ 2 თუ 3 გათავისუფლდა.

მინისტრის თქმით, მან საჯარო მოხელის უცვლელობის პრინციპი დაამკვიდრა.

– როდესაც ხელისუფალი იცვლებოდა, იცვლებოდა საჯარო მოხელეც, რომელსაც აიძულებდნენ, რომ სამსახურიდან წასულიყო. მას არ რჩებოდა უფლება, რომ სასამართლოში ეჩივლა. ჩემი იუსტიციის სამინისტროში მისვლიდან 5 თანამშრომელიც კი არ შემიცვლია. 155 საშტატო ერთეულიდან მხოლოდ 2-ის თუ 3-ის შეცვლა მოხდა, – განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა მუშაობის 100 დღის შეჯამების შემდეგ ჟურნალისტებთან კომენტარებში ისაუბრა პარლამენტის დეპუტატებისა და მოქმედი მაღალჩინოსნების დაკითხვებზე.

როგორც ცნობილია, „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა რამდენიმე დეპუტატმა, რომლებსაც პროკურატურისგან უწყება მიუვიდათ, უარი განაცხადეს პროკურატურაში მისვლაზე.

თეა წულუკიანის განცხადებით, სწორედ ამიტომ პროკურატურა იძულებულია, დეპუტატები პარლამენტში დაკითხოს. ამის შესახებ იუსტიციის მინისტრმა ჟურნალისტებს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის თინა ხიდაშელის განცხადების კომენტირებისას განუცხადა.

წულუკიანის თქმით, თუ დეპუტატები ბოროტად სარგებლობენ თავიანთი უფლებით და პროკურატურაში არ მიდიან, პროკურატურა თვითონ მივა პარლამენტში.

– თვითონ ამბობენ პროკურატურაში მოსვლაზე უარს. თუ ღვინიაშვილი და სხვა დეპუტატები თავს არიდებენ დაკითხვაზე მოსვლას, პროკურატურა ვერ დაიწყებს პაექრობას და აქედან გამომდინარე, თავად მივა დასაკითხად პარლამენტში, – განაცხადა წულუკიანმა.

თეა წულუკიანის განცხადებით, პროკურატურა მოქმედებს კანონით დადგენილი წესებით და იმისთვის, რომ ჩაატაროს გამოძიება, ვალდებულია დეპუტატებს რამდენჯერმე გაუგზავნოს დაკითხვაზე მოწვევა.

– გამოძიებას სხვა გზა არ რჩება, თუ რამდენიმე მოწვევის შემდეგ დეპუტატები მაინც არ ცხადდებიან დაკითხვაზე, გამოძიება პაექრობას ვერ დაიწყებს და კანონით დადგენილი წესებით იმოქმედებს, – ამბობს წულუკიანი.

როგორც ცნობილია, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ თუ კიდევ დიდი ხანი არ დაიკითხა გიორგი ღვინიაშვილი, ხვალ და ზეგ

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

თეა წულუკიანი: „მე არ მეყო 100 დღე, რომ სერიოზული ცვლილებები წამომეწყო“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მოითხოვს პარლამენტში იუსტიციის მინისტრის და მთავარი პროკურორის მისვლას.

თინა ხიდაშელი ითხოვს გარკვევას, დედაქალაქის ყოფილი პროკურორი გიორგი ღვინიაშვილი აფარებდა თუ არა ხელს ბუტა რობაქიძის მკვლელებს.

იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს გუშინ არ დაუკონკრეტებია, როდის დაიკითხებიან ღვინიაშვილი და სხვა დეპუტატები, როგორც თავად ამბობს, პარლამენტში.

იუსტიციის მინისტრი ასევე გამოეხმაურა სიძულვილის ენის ელემენტების შემცველ განცხადებებს, რომელიც ლუკა კურტანიძემ საგაზეთო ინტერვიუში გამოიყენა.

თეა წულუკიანი მთავრობის წევრებს მოუწოდებს, ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებზე იმას ნუ იტყვიან, რასაც მარტო დარჩენის დროს ფიქრობენ.

როგორც აღვნიშნეთ, მინისტრი პოლიციის აკადემიის პრორექტორის, ლუკა კურტანიძის საგაზეთო ინტერვიუში გამოყენებულ გამონათქვამს გამოეხმაურა, სადაც კურტანიძე ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლებს ვირთხებად მოიხსენიებს.

– როცა მარტო ვრჩები, ყოფილ მთავრობაზე მეც ვფიქრობ. ყველა მთავრობის წევრს მოვუწოდებ, ნუ იტყვიან ყოფილ მთავრობაზე იმას, რასაც ფიქრობენ, როცა მარტო დარჩებიან, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი ასევე გამოეხმაურა ვანო მერაბიშვილისა და ზურაბ ჭიაბერაშვილის დაკითხვის ფაქტს. მისი თქმით, ყოფილი მაღალჩინოსნების დაკითხვას პოლიტიკურ დევნასთან კავშირი არ აქვს. როგორც თეა წულუკიანმა ჟურნალისტებს 100 დღიანი მუშაობის ანგარიშის წარდგენისას განუცხადა, ხელისუფლება და პარტია ერთმანეთთან კავშირში იყო და გამოძიების მიხედვით, სავარაუდოდ, პარტიული საქმიანობა ფინანსდებოდა ნაგვისა და დენის ერთმანეთზე მიბმით. კერძოდ, როგორც წულუკიანმა განმარტა, „ნაციონალური მოძრაობა“ და მისი აქტივისტები ფინანსდებოდნენ, როგორც ჩანს, მერიის ბიუჯეტიდან.

– გამოძიებით დგინდება, რომ ფული, რომლითაც, ფაქტობრივად, ფინანსდებოდა „ნაციონალური მოძრაობა“, სავარაუდოდ, ამოღებული იყო ნაგვისა და დენის ერთმანეთზე მიბმით. კერძოდ, შეიქმნა ფიქტიური სამუშაო ადგილები, რომელსაც აფინანსებდნენ ამ ცვლილებით ამოღებული ფულით, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრი კიდევ ერთ გახმაურებულ საქმეს შეეხო, რომელიც, როგორც მთავარმა პროკურორმა არჩილ კბილაშვილმა პირობა დადო, რამდენიმე დღეში უნდა გახსნილიყო.

თეა წულუკიანის განცხადებით, ბუტა რობაქიძის საქმეზე მაშინდელი შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის დაკითხვა არ მომხდარა.

ეს ინფორმაცია ჟურნალისტების კითხვის საპასუხოდ გააკეთა მინისტრმა.

– რობაქიძის საქმეზე ოქრუაშვილი დაკითხული არ ყოფილა, ამიტომ არ ვიცი, რა იყო მისთვის ცნობილი და რა არა, – განაცხადა წულუკიანმა.

იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის შესახებ ინიციატივა გააცნო.

როგორც მინისტრმა აღნიშნა, კომისია განიხილავს ყველა იმ პირის საქმეს, როგორც სისხლის სამართლის, ისე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებზე გამოტანილ გადაწყვეტილებებს, რომლებიც თავს უკანონობის მსხვერპლად მიიჩნევენ.

– კომისიის ფუნქცია იქნება შეისწავლოს ყველა ის საქმე, რომელშიც მომჩივანს მიაჩნია, რომ უკანონოდ ჩამოერთვა ქონება. იქნება დადგენილი კრიტერიუმები, თუ ვის შეუძლია ამ კომისიას მიმართოს, კონკრეტულად რომელი კატეგორიის საქმეზე, რა პერიოდში და ა.შ. განსაზღვრული გვაქვს ისიც, რომ სისხლის სამართლის საქმე, იმისთვის, რომ მოხვდეს კომისიის ფარგლებში, 2005 წლიდან უნდა იყოს დამდგარი. ეს შეეხება მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებს, ხოლო ადმინისტრაციულ საქმეებზე დავის ღირებულება უნდა იყოს 100 ათას ლარზე ზევით. ესაა დროებითი კრიტერიუმები, იქიდან გამომდინარე, რომ ველოდებით სამუშაო ჯგუფის წევრებისგან შენიშვნებს, – აცხადებს წულუკიანი.

წულუკიანის თქმით, მართლმსაჯულების ხარვეზების შემსწავლელი დროებითი კომისიის შექმნის ინიციატივის შესახებ ვენეციის კომისიის პრეზიდენტ ჯანი ბუკიკიოსაც ესაუბრა, რომელიც მას სიხარულით შეხვდა.

– ბატონი ჯანი ბუკიკიო სიხარულით შეხვდა ამ ინიციატივას და აღნიშნა, რომ თუკი ასეთი კომისია იარსებებს, გამოირიცხება იმ ტიპის შეკითხვა, რაც დაისვა პოლიტპატიმრების შემთხვევაში, – განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

გელა ნიკოლაიშვილი: „უგულავა დაკითხვაზე პოლიციას ძალით უნდა მიეყვანა“

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ ადვოკატ გელა ნიკოლაიშვილთან

– ბატონო გელა, დღეს უმცირესობაში მყოფი ნაციონალური მოძრაობა შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უმრავლესობას ულტიმატუმის ენით ესაუბრება. რამდენად აქვთ ამის უფლება, თუნდაც მორალური და თუნდაც სამართლებრივი?

– მე მგონი, ყველამ იცის, რომ ამის მათ არც სამართლებრივი და არც მორალური უფლება არა აქვთ. სასაცილოა, როდესაც ერთი ადამიანის სახეზე არსებულ სისხლის ლაქას ისინი ხედავენ და პანიკას ტეხენ ამაზე, რომელიც, რა თქმა უნდა, ძალიან მიუღებელი და სამწუხაროა, მაგრამ ვერ ხედავ, ვერ ამჩნევენ, არ უნდათ, შეამჩნიონ ის ასეულობით ადამიანი, რომლებიც მათ თუნდაც ერთი მიტინგის დარბევის დროს, 26 მაისს რა სისხლის გუბეები დააყენეს რუსთაველზე და შემდეგ იმ ადგილებში, სადაც ისინი წაიყვანეს პოლიციის განყოფილებებსა თუ სხვა ადგილებში. ამის ჩამდენები როდესაც პრეტენზიას აყენებენ იმაზე, რომ თურმე ერთი ადამიანის, ქალბატონის სახეზე, რომელსაც ცხვირიდან სისხლი წამოუვიდა, ხედავთ, ეს რამხელა ანტიდემოკრატიული და კატასტროფული ქმედებაა და პლუს კიდევ ამის გამკეთებელი სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული. თვითონ როდესაც ადამიანები დახოცეს კიდევაც, დაასახიჩრეს, დააპატიმრეს და რაღა არ მოუწყვეს, იქ არავის არ უგია პასუხი. როდესაც ასეთი ადამიანები პასუხს სთხოვენ და ულტიმატუმის ენით ელაპარაკებიან შინაგან საქმეთა სამინისტროსა თუ ახალ ხელისუფლებას, ეს მაგონებს ოსვენციმის ბანაკის შემქმნელებსა და მათ ხელმძღვანელებს, რომლებიც პატიმრებზე ცდებს ატარებდნენ, გაზის კამერებში შეჰყავდათ და ლაბორატორიულ ვირთხებად ჰყავდათ ადამიანები გამოყვანილი. ამ ფაშისტებს რომ მოპყრობოდნენ უხეშად და შემდეგ მათ პრეტენზიები წაეყენებინათ, როგორი არადემოკრატიულები და არაჰუმანურები ხართო, აი, დაახლოებით ამას შეიძლება შევადარო მათი პრეტენზიები.

– მართლა სირცხვილია, 26 მაისისა და 7 ნოემბრის შემოქმედი ადამიანები ასეთ პრეტენზიებს აყენებდნენ...

– რა თქმა უნდა, ისინი თვითონ იყვნენ ამის შემოქმედნი და ხმას როგორ ამოიღებდნენ. პირიქით, ესენი აქეზებდნენ ამ ადამიანებს, ტაშს უკრავდნენ, რომ არა მათი მორალური და იდეოლოგიური მხარდაჭერა და დასავლეთში უკუღმართად გატანილი ინფორმაციები, რა თქმა უნდა, ვერც მერაბიშვილი, ვერც ახალაია და ვერც ეს ჯალათები, მეგის ქარდავები და მასტერები, ბუნებრივია, ვერ გაბედავდნენ ასე სადისტურად მოქცევას. სწორედ ისინი ახალისებდნენ ამ ყველაფერს. კიდევ ვიმეორებ, გებელსი, რომელიც იყო მთავარი იდეოლოგი ნაცისტური გერმანიისა, რომ გამოსულიყო და დაეწყო დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებზე ლაპარაკი, ეს იგივეა, რასაც ესენი ამბობენ, რა პოზიციაც ამათ უკავიათ დღეს. თუმცა, რა თქმა უნდა, ჩვენ იმ ადამიანებს, რომლებსაც მუდმივად გვეკავა პოზიცია, უფლებადამცველებს, რომ ეს საქციელი არ არის მოსაწონი, დასაგმობია, ჩვენ მაშინაც ვგმობდით იმას და დღეს რაც არ არის მოსაწონი, თუნდაც ეს ერთი ადამიანის სახეზე დანახული სისხლი იყოს, რა თქმა უნდა, ესეც დასაგმობია. თუმცა ჩვენ ამის მორალური უფლება გვაქვს, ადამიანებს, რომლებიც ყველა დროში ძალადობასა და სადისტობას აკრიტიკებდნენ და იბრძოდნენ ამის წინააღმდეგ. იმ ადამიანებს, რომლებიც ამას ჩადიოდნენ გუშინ, დღეს არა აქვთ უფლება, თვითონ გამოდიოდნენ უფლებადამცველებად და დემოკრატებად.

– ეს ყველაფერი ხელისუფლების მიერ იყო ინიცირებული და მათ მიერ დაგეგმილი პროვოკაცია იყოო, აცხადებენ ნაციონალები. თქვენ როგორ დაინახეთ, ვისგან იყო პროვოცირებული?

– ამ მოვლენებში იყო სამი სუბიექტი: ხელისუფლება, მისი წარმომადგენლები პოლიციელების სახით, მეორე – ნაციონალები თავიანთი აქტივისტების სახით და მესამე – მომიტინგეები, რომლებიც, კრებითად რომ ვთქვათ, პოლიტპატიმრების, მათი ახლობლებისა და გამწარებული ადამიანების სახით. რა თქმა, უნდა, მეტ-ნაკლები გადაცდომა ჰქონდა ამ შემთხვევაში ყველას. პოლიციას შეეძლო, უკეთ ემოქმედა და გაეკეთებინა კორიდორი. ამის ძალა მას ნამდვილად აქვს, თუ მოინდომებს და, როგორც ეს ცივილიზებულ ქვეყნებში ხდება ხოლმე ყოველთვის, როცა ორ დაპირისპირებულ მხარეს პოლიცია აშველებს. მეორე მომენტია – თავად მომიტინგეებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ, ამ კორიდორში გაეტარებინათ და თუნდაც ხმამაღალი შეძახილებით, თუნდაც შეურაცხმყოფელი შეძახილებით, სტვენით, სხვადასხვა დამოკიდებულების გამოხატვითა და სირცხვილის კორიდორის მოწყობით ამ მიზნის მიღწევა. ეს მათ არ გააკეთეს და ეს მათი მხრიდან არის გადაცდომა. მესამე – თვითონ ნაციონალებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ემოქმედათ არაპროვოკაციულად და არაგამომწვევად და არც აქვთ მათ სალაპარაკო და ხმა ამოსაღები. ამის მიუხედავად, ისინი ძალიან გამომწვევად იქცეოდნენ და იქით გადადიოდნენ შეტევაზე. მათაც ჰქონდათ გადაცდომა. თუმცა, საქმე ის არის, რომ ეს გამოცდილების ამბავია, ჩვენთან პოლიციის მოქმედება ყოველთვის ორიენტირებული იყო ძალადობაზე, გამოსული მასის დათრგუნვაზე და არა დემოკრატიულ სახელმწიფოში დამკვიდრებული მეთოდების გამოყენებაზე. ფაქტობრივად, ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც პოლიციელს მოუწია არა ხელკეტების ან თუნდაც მომწამლავი გაზისა და რეზინის ტყვიების გამოყენება და სხვადასხვა იარაღებით მომიტინგეების დაშლა, არამედ მართლა იმ ფუნქციის შესრულება, რომ ორივე მხარეს ჰქონოდა გამოხატვის თავისუფლების დაცვის საშუალება, რომ მათ დაეცვათ თავიანთი გამოხატვის თავისუფლება ისე, რომ ერთმანეთთან კონტაქტი არ დაეშვათ. ასე რომ, ეს მათთვის ახალი ამოცანაა, ახალ პირობებში, პოლიციის ახალი ტაქტიკაა და მე მივესალმები ამას. პოლიცია არ უნდა იყოს მხოლოდ დათრგუნვისთვის, დაშლისკენ და დასჯისკენ მიმართული. ეს ბუნებრივია, რადგან პირველი იყო, მათთვის ახალი იყო და ბოლომდე თავი ვერ გაართვეს. რაც შეეხება მომიტინგეებს, რა თქმა უნდა, ამ გამწარებული ხალხის გაგება შეიძლება, თუმცა ამის გამართლება არ შეიძლება, როდესაც ძალადობასა და ფიზიკურ ანგარიშსწორებამდე მიდის საქმე. რა თქმა უნდა, ნაციონალების გამართლება, როგორც ისინი იქცეოდნენ, არაფრით არ შეიძლება და ზემოთ ვილაპარაკე, თუ რატომ. ელემენტარულად, ამის არც მორალური უფლება აქვთ და არც პოლიტიკური.

– რაც შეეხება თბილისის მერს, რამდენად არღვევს ის კანონს, როდესაც ჯიუტად არ ცხადდება დაკითხვაზე?

– როდესაც პირველად ის არ გამოცხადდა, მე მაშინვე განვაცხადე, როგორ უნდა მოიქცეს პოლიცია. პოლიცია უნდა მოქცეულიყო ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვს, ანუ უნდა მისულიყო იქ რამდენიმე პიროვნება, ორი იქნებოდა საჭირო, ათი თუ ორმოცდაათი, ის იძულების წესით და, თუ საჭირო იქნებოდა, ბორკილების დადებითაც უნდა მიეყვანათ დასაკითხად და მეორედ ის ვეღარ გაბედავდა, როგორც დღეს თავს გაუვიდა, იმიტომ რომ მას კანონზე მაღლა მდგომად მიაჩნია თავი. ამ ბოლო შემთხვევის დროს კი განაცხადა შინაგან საქმეთა მინისტრმა, რომ მას იძულების წესით მიიყვანენ, მაგრამ ეს მაშინვე უნდა განეცხადებინა და მაშინვე უნდა აღესრულებინა კანონი. მოწმედ მისვლისას კანონი არანაირ იმუნიტეტს არ ანიჭებს ადამიანს, რაოდენ მაღალი თანამდებობაც გინდა ჰქონდეს. სხვა საკითხია ბრალდებულად დაკითხვა, პარლამენტის წევრსა და არჩეულ თანამდებობის პირებს გარკვეულ იმუნიტეტს ის აძლევს, მაგრამ არა მოწმედ დაკითხვის დროს. სხვათა შორის, იგივე ეხებათ პარლამენტარებს, თუმცა აქ კიდევ რაღაცა ნიუანსები შეიძლება გაითვალისწინო, მაგრამ, როდესაც მერზეა ლაპარაკი, მით უმეტეს ასეთ მერზე, რომელიც ძალიან ბევრ რაღაცაშია მხილებული და, რბილად რომ ვთქვათ, ეჭვმიტანილია, დაწყებული ბიუჯეტის ფულით პარტიული ინტერესების გატარებით, დამთავრებული თბილისის პოლიციის არაადამიანური მოქმედების წახალისებითა და ორგანიზებით, ასეთ მერს არანაირი უფლება არა აქვს, პირველ რიგში სამართლებრივი უფლება არა აქვს და მერე მორალური და პოლიტიკური, რომ ასე იქცეოდეს. ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას, რომ მას მისცეს ასე მოქცევის საშუალება.

– პირველი პრეცედენტი არ უნდა დაეშვათ, ალბათ...

– რა თქმა უნდა, არ უნდა დაეშვათ პირველი პრეცედენტი.

– თუკი ამ ეტაპზეც არ გამოცხადდება, აქვთ უფლება, იძულებით მიიყვანონ?

– რა თქმა უნდა, იძულებით წესით მიყვანას კანონი ითვალისწინებს და მეტსაც გეტყვით, თუ ის იძულებით მიყვანილი გაჯიუტდება და უბრალოდ ჩვენებას არ მისცემს, ამასაც არეგულირებს კანონი, ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთაა გათვალისწინებული ადამიანისთვის, რომელიც უარს ამბობს ჩვენების მიცემაზე მოწმის სტატუსით, ან ნებისმიერი სხვა სტატუსით, გარდა იმისა, თუ არ ჩავთვლით ბრალდებულს, რომელსაც აქვს დუმილის უფლება. როდესაც ბრალდებული იქნება გიგი უგულავა, მაშინ შეიძლება თქვას, მე ვიყენებ დუმილის უფლებასო და ამაში ვერავინ შეედავება, მაგრამ მანამდე ვალდებულია, მისცეს ჩვენება.

– ბატონო გელა, რაც შეეხება იმ მოლაპარაკებებს, რომელიც 8 თებერვლის შემდეგ დაიწყო, ეს ინიციატივა ორივე დაპირისპირებული მხარიდან წამოვიდა. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე ამ შეხვედრამ? რამდენად შედეგიანი იქნება და რამდენად მიაღწევენ მიზანს მხარეები?

– მე ვფიქრობ, რომ ხელისუფლება აზვიადებს იმ საშიშროებას, რომელიც მომდინარეობს ნაციონალური მოძრაობიდან. ისინი უფრო შანტაჟს აწყობენ და ამისი არანაირი არც ფიზიკური, არც პოლიტიკური, არც სამართლებრივი არანაირი ძალა მათ არ გააჩნიათ. წარმოიდგინეთ, მართლაც რომ დაითხოვოს მთავრობა სააკაშვილმა, როგორ წარმოგიდგენიათ, დანიშნოს მერაბიშვილები, ახალაიები და მათი მსგავსი კეზერაშვილები, ამას როგორ მიიღებს მოსახლეობა. ის ხომ ფაქტიურად მართლა რევოლუციას მოაწყობს და ვერაფერი ვერ შეაჩერებს მათ. ამიტომ მე არარეალურად მიმაჩნია ის შიშები, რომ სააკაშვილს ამის შესაძლებლობა ჰქონდეს. სურვილი, რა თქმა უნდა, დიდი ექნება, მაგრამ იმდენი ჭკუა ჰყოფნის, ამას აცნობიერებს და ასეთ ნაბიჯს არ გადადგამს თავის საწინააღმდეგოდ. ამიტომ, როდესაც ამის ფასად, მოდით, მოვილაპარაკოთ, თქვენ ის დათმეთ, ჩვენ ამას დავთმობთ, მე არ მიმაჩნია სწორად. მათ უნდა ჰქონდეთ მყარი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც არის წამოყენებული მათი მხრიდან. თუმცა, ამავე დროს, მე არ მიმაჩნია მიუღებლად ის, რომ თუნდაც კონსტიტუციაში დაფიქსირდეს ეს კურსი. მე ესეც ახირება მგონია ნაციონალური მოძრაობის, იგივე პარლამენტის თბილისში გადმოტანა და სხვა საკითხები, რომლებიც არის საჯილდაო ქვა, რომ იტყვიან და თუნდაც იგივე პრეზიდენტის პირდაპირი არჩევნები, მე მგონია, რომ ეს არ არის ის საკითხები, რომელიც შეიძლება ასე საჭიდაო გახდეს და პოლიტიკური დაძაბულობის შექმნის საფუძვლად იქცეს. მე მაინც მგონია, რომ ეს ჭიქაში ქარიშხლის ატეხას ჰგავს და ამით ნაციონალური მოძრაობა უფრო იგებს, იმიტომ რომ პროპაგანდისტული და პიარის თვალსაზრისით ის მაინც უგებს დღევანდელ ხელისუფლებას ბევრ კომპონენტში და ბევრ საკითხში თავისი პოლიტიკური გამოცდილებითა და პიარით. დასავლეთში ზოგს მაინც აჯერებენ, რომ დემოკრატი სააკაშვილი არადემოკრატმა ივანიშვილმა შეცვალა. ცდილობენ, ეს დაანახვონ დასავლეთს და თან ხაზს უსვამენ თავიანთ პოლიტიკურ მნიშვნელობას. და ეს წონა და მნიშვნელობა, რომლის წარმოჩენასაც ისინი ცდილობენ, ნამდვილად არ გააჩნიათ დღეს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. მე მაინც მგონია, რომ ხელისუფლება ნაცმოძრაობას ამ თამაშში არ უნდა აჰყოლოდა.

– თანაც დახურულ კარს მიღმა სხვა ტონი აქვს სააკაშვილს და, როგორც კი კამერების წინ აღმოჩნდება, მისი დამოკიდებულება აბსოლუტურად იცვლება.

– ეს ზოგადად მშიშარა ადამიანების სტილია, ცდილობენ, კამერების წინ წარმოაჩინონ თავი ყოჩაღებად და გულადებად. ჩვენ რომ არ გვენახა მისი გულადობა, როცა მიწაზე ფორთხავდა, ვერც დავიჯერებდით, რომ ასე იყო. ის არის კარგი მსახიობი და საუკეთესო „პიარშიკი“ საკუთარი თავისთვის და საკუთარი პოლიტიკური ძალისთვის. მე ვთვლი, რომ ამ კონსულტაციებს იმის 10%-იანი მნიშვნელობაც კი არა აქვს, რასაც ჩვენ 100%-ად წარმოგვიჩენენ მხარეები და ამით, რაც მთავარია, უფრო მეტად სარგებლობს ნაციონალური მოძრაობა, ის ამით თავის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, რომ აი რამხელა გავლენის მქონეა დღეს პოლიტიკაში.

ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ერთმანეთთან აპირისპირებს“

შორენა მარსაგიშვილი



პარტია „თავისუფალი საქართველოს“ გენერალური მდივანი ალეკო შალამბერიძე ახალ ხელისუფლებას საქმის კეთებას ურჩევს. მისი თქმით, ის ნაციონალები, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს, უნდა დაისაჯონ, იმისდა მიუხედავად, რა თანამდებობები უკავიათ მათ. შალამბერიძის თქმით, სააკაშვილი პროვოკაციებს არც მომავალში მოერიდება. ყოფილი დეპუტატი შიშობს, რომ პრეზიდენტი სამოქალაქო დაპირისპირების გაღვივებას აპირებს.

რას ემსახურება სააკაშვილის განცხადებები, რას უნდა მიაქციოს ახალმა ხელისუფლებამ ყურადღება, ამ თემებზე შალამბერიძე „ახალ თაობას“ ესაუბრება.

– ნაციონალური მოძრაობა და მათი ლიდერი სააკაშვილი ითხოვენ, რომ პარლამენტი აუცილებლად ქუთაისში უნდა დარჩეს. მეოცნებეები ამტკიცებენ, რომ საკანონმდებლო ორგანოს ადგილი თბილისშია. თქვენი აზრით, სად უნდა იყოს პარლამენტი?

– ჩვენს კონსტიტუციაში საინტერესო რამ წერია. როგორც კი ტერიტორიული მთლიანობის პრობლემა მოგვარდება, საქართველოს პარლამენტი გახდება ორპალატიანი და რაკი ამხელა შენობაა ქუთაისში აშენებული, გამოვიყენოთ. ზედა პალატა იყოს ქუთაისში, ქვედა – თბილისში.

– მერე ამაზე ატყდება ამბავი, რატომ ზედა ქუთაისში და ქვედა თბილისშიო.

– ზედა პალატა არის სენატი, სადაც რეგიონების წარმომადგენლები იქნებიან. რაკი ქუთაისი იმერეთის რეგიონს წარმოადგენს, ზედა პალატას ერთგვარი დატვირთვა ექნება. ეს მოაგვარებს იმ პრობლემას, რომელიც სააკაშვილმა გააჩინა. ქუთაისის პარლამენტზე აპელირებით ის საქართველოს გახლეჩვას აპირებს. სააკაშვილი ცდილობს დასავლეთ საქართველო დაუპირისპიროს იმ ხალხს, რომლებიც პარლამენტის თბილისში გადატანას ითხოვენ.

– დასავლეთ საქართველოს მოსახლეობაც იზიარებს იმ აზრს, რომ პარლამენტი დედაქალაქში უნდა იყოს.

– საბედნიეროდ ხალხი საღად აზროვნებს და ამ შენობაზე დაპირისპირება არ მოხდება. განვე-გამოწვევა იმ სულელურ თემაზე დაიწყო, რომელსაც პრეზიდენტის მიერ მთავრობის დათხოვნა ჰქვია. ეს სააკაშვილმა ჩაწერა არასწორად კონსტიტუციაში. პრეზიდენტს არსად არა აქვს ცალსახად მთავრობის დათხოვნის და დანიშვნის უფლება. მით უმეტეს მაშინ, როცა ქვეყანას პარლამენტი ჰყავს და მას დემოკრატიულობაზე აქვს პრეტენზია. ეს პრობლემა ძალიან მალე გადაწყდება და ძალიან ცუდია, პარლამენტი ამაზე რომ კარგავს დროს. სამაგიეროდ მთავარ პრობლემებზე არავინ იღებს ხმას.

– მთავარ პრობლემად რა მიგაჩნიათ?

– უსახლკაროები, სოციალურად დაუცველები, ბანკით დაზარალებულები. გარწმუნებთ, რომ ეს მთავარია. ის რაც 8 თებერვალს მოხდა, ცუდია, მაგრამ როდემდე ვისაუბროთ ამაზე? სააკაშვილი ასეთ პროვოკაციებს თავად გეგმავს.

– დარწმუნებული ხართ, რომ ის გეგმავს?

– ეჭვიც არ მეპარება, რომ მისი დაგეგმილია. ის არის მატყუარა კაცი, რომელიც ყველაფერს იკადრებს. 8 თებერვალს ის პარლამენტში არ შეუშვეს. ამიტომ გადაწყვიტა საჯარო ბიბლიოთეკაში გამოსვლა. ავლაბრის რეზიდენციაში შესანიშნავად გამოვიდოდა, მაგრამ არა, მიაწვა თავისას. მას შეუძლია „გაბედულად“ იმოქმედოს, მიუშვას თავისიანები და ბიბლიოთეკის აღების ბრძანება გასცეს. იმავე საღამოს კი თავად გამოვიდა, როგორც მშვიდობის მტრედი. ელჩებს იმ სიტყვებით ელაპარაკებოდა, რაც მათ ყურს ეამებოდა. სააკაშვილი არის ჯიბიდან გავარდნილი აფერისტი. აქ უკვე ქართულმა ოცნებამ უნდა იმოქმედოს. უკვე დროა კანონებზე იმუშაონ.

– რატომ არ მოქმედებს მერე ოცნება? მართალია შემადგენლობას თუ გადავხედავთ, პარლამენტი ფიზიკულტურის დარბაზს წააგავს, მაგრამ იურისტები და პოლიტიკოსებიც ხომ არიან მათ რიგებში.

– მართლაც რომ ფიზიკულტურის დარბაზია. დემოკრატიას აქვს თავისი პარადოქსები. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს უფლება, იყაროს კენჭი. ფიზიკური კულტურის მუშაკებიც დამსახურებული ხალხია და მოინდომეს დეპუტატობა. მათგან კანონის დაწერას არც ველით. აი, გამოცდილი ხალხისგან კი მეტი აქტიურობაა საჭირო. მთლიანობაში ქართული ოცნება ვერ გაერკვა ვითარებაში.

– რამ შეუშალათ ხელი? ჯერ ისევ ოცნებობენ?

– ეტყობა მართლა ოცნებობენ. მათი პრობლემა ისაა, რომ ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების მაჯაზე ხელი არ ეჭირათ. მათთვის ის პრობლემები უცხოა, რაც დღეს ხალხს აქვს. ხელისუფლების შეცვლას ხალხმა იმიტომ მისცა ხმა, რომ მათი პრობლემები მოგვარებულიყო. პარადოქსების ქვეყანაა ეს საქართველო. სხვაგან სად გინახავთ, რომ პარტია არ ყოფილიყო ჩამოყალიბებული და არჩევნები მოეგოთ.

– ბიძინა ივანიშვილი ნებისმიერ პარტიაზე მეტია და ამიტომაც მოვიდა მისი ხალხი ხელისუფლებაში.

– ივანიშვილის ხელისუფლებაში მოსვლა ცუდი არ არის. ცუდი ისაა, რომ ხალხი არჩევნებს ზედაპირულად უყურებს. მათ აირჩიეს ხალხი, რომელსაც პარტიაც კი არ ჰქონდა შექმნილი.

– შექმნილი პარტია ნაციონალებს ჰქონდათ.

– და კიდევ კარგი, ისევ ეგენი არ მოვიდნენ ხელისუფლებაში. ივანიშვილმა შეძლო მათი განეიტრალება. ისინი პროცესებს ვეღარ წარმართავენ. რაც საკმარისი არ არის. დამნაშავე ნაციონალებს ნულოვანი ტოლერანტობა უნდა გამოვუცხადოთ.

– ნულოვან ტოლერანტობაში იმედია ქვების სროლას არ გულისხმობთ.

– ბუნებრივია, არ ვგულისხმობ. დამნაშავეებს კანონის მეშვეობით უნდა ებრძოლო. ეს აუცილებლად ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს და არა ხალხმა. ხელისუფლება თუ ხარ, დამნაშავეები უნდა დაიჭირო. ამ დროს ნაკლებად უნდა იფიქრო, რა რეაქცია ექნება დასავლეთს. და თუ მაინც ეშინიათ მათი რეაქციის, ფაქტები დადონ. მთავრობამ სათანადოდ უნდა იმოქმედოს. მაშინ არც 8 თებერვალი მოხდება და არც კვერცხებს დაუშენენ ვინმეს. როგორც უკვე გითხარით, ხალხს სოციალური პრობლემების მოგვარება სურს. ამაზე პარლამენტში არავინ საუბრობს. კობა დავითაშვილმა დაიწყო საუბარი, მაგრამ გააჩუმეს.

– ასე თუ გააგრძელეს, ხალხს შესაძლოა ნაცმოძი სანატრელი გაუხდეს.

– დარწმუნებული ვარ, რომ ნაცმოძი ამ ქვეყანაში არასდროს გახდება სანატრელი. რაც იმას არ ნიშნავს, რომ საპარლამენტო უმრავლესობამ ხელი არ გაანძრიოს.

– ისინი ყველაფერზე ამბობენ, გაგებით მოეკიდეთო.

– მოვეკიდებოდი გაგებით, მწარე გამოცდილება რომ არ მქონდეს. წინა ხელისუფლების ქმედებებსაც გაგებით ვეკიდებოდით გარკვეული დროის მანძილზე, მაგრამ ამით ქვეყანა დავაქციეთ. ამიტომაც აღარ ვაპირებ, ასეთ რამეებს გაგებით მოვეკიდო. მით უმეტეს, როცა საქმე სოციალური პრობლემების მოგვარებას ეხება. ძალიან მაინტერესებს იმ პედაგოგების ბედი, შაშკინმა და ნოდიამ რომ გამოყარეს სკოლებიდან. მაინტერესებს, როდის დააბრუნებენ ამ ადამიანებს სკოლებში.

– ამ ადამიანების დაბრუნება სხვა მასწავლებლების გათავისუფლებას გამოიწვევს?

– მასწავლებელსაც გააჩნია. მანდატურები რომ მასწავლებლებად დასვეს, ეს გამართლებულია? წარმოდგენა არა აქვს ამ ხალხს პედაგოგიკაზე. ამ პრობლემის მოგვარება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს.

– რამდენიმე დღის წინ სააკაშვილმა თქვა, რომ მართალია მთავრობა შეიცვალა, მაგრამ პრეზიდენტი მაინც მე ვარო. თქვენი აზრით, ვის მიჰყავს დღეს ქვეყანაში „პარადი“, სააკაშვილს თუ ივანიშვილს?

– სააკაშვილის ამ განცხადებას არაკორექტულ შეფასებას მივცემდი. სააკაშვილმა ამ განცხადებით თქვა: ვირი ვარ და ვყვირივარო. ქვეყნისთვის პროვოკაციების მოწყობა გამოუვა, მაგრამ „პარადს“ სააკაშვილი ვეღარ წაიყვანს. ამის უფლება მას არც ოცნებამ არ უნდა მისცეს. ახლა მეოცნებეებმა დამნაშავეებს პასუხი უნდა აგებინონ. ეს იმიტომ უნდა გაკეთდეს, რომ არავინ აღარ გაბედოს ნაციონალებისნაირი თავაშვებულობა.

რატომ მალავდა ჯანდაცვის სამინისტრო ღორის გრიპის შემთხვევებს

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მაგრამ როდის იგრძნობენ შვებას თავად მედიკოსები ანაზღაურების მხრივ, ჯერ უცნობია. საზოგადოებას კარგად მოეხსენება, რომ სამედიცინო მანიპულაციებზე მაღალი ფასების მიუხედავად, ექიმებს მიზერული თანხები ხვდებათ, პასუხისმგებლობა კი, იცოცხლე, ძალზე დიდია.

რამდენად შეიძლება, მედიკოსებს იმედი ჰქონდეთ, რომ მათი ხელფასები სამედიცინო დახმარებაში გადახდილი თანხების ადეკვატური იქნება? სამინისტროში განმარტავენ, რომ სამედიცინო სერვისების ღირებულების განსაზღვრის რამდენიმე მოდელი არსებობს. ჩვენთან არჩევანი დიაგნოზთან მიმართებული ჯგუფების მოდელზე გაკეთდა, რომელიც თავის თავში მოიცავს, თუ რა შეიძლება იყოს არა მარტო ჯამური ღირებულება ამა თუ იმ მომსახურების, არამედ დეტალურად გაითვალისწინებს, მაგალითად, სახარჯი მასალისა თუ ხელფასის ოპტიმალურ რაოდენობას. მინისტრის თქმით, ამის დეტალურად გათვლას წელიწად-ნახევარი მაინც დასჭირდება. ასე რომ, უფრო ადრე ექიმებს ხელფასების მატების დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

მედიკოსებს არანაკლებად აწუხებთ რესერტიფიცირების საკითხი და ეჭვობენ, რომ ყოველ ახალ მთავრობას უჩნდება სურვილი, სხვაგვარად გამოცადოს მათი პროფესიონალიზმი. ჯანდაცვის მინისტრს ამაზე ცალსახა პასუხი აქვს: მედიცინა ერთ-ერთი სწრაფად პროგრესირებადი დარგია და მედიკოსებმა მას ფეხი უნდა აუწყონ, ახალი მიდგომებისა თუ მეთოდოლოგიების ფლობაში რეგულარულად დაარწმუნონ სახელმწიფო განმეორებითი სერტიფიცირებით.

– თუნდაც 5 წლის წინანდელი მიდგომები იცვლება, სწრაფად ვითარდება ეს დარგი, ამიტომ აუცილებელია, სამედიცინო მოვლის ხარისხი მუდმივ რეჟიმში მოიცავდეს თავის თავში გადაფასებას, გადამზადებას, ახალი ინფორმაციის მიღებას და ასე შემდეგ. ამის ერთ-ერთი ნაწილია კვალიფიკაციის, აკრედიტაციის რაღაც პერმანენტული ფორმის მიცემა. ის, რომ ექიმმა ერთჯერადად 10 წლის წინ დაადასტურა, რომ დაავადებების მართვის კონკრეტულ მიდგომებს კარგად ფლობს და ამის დამადასტურებელი დოკუმენტი აიღო, არ ნიშნავს, რომ ეს ექიმი 10 წლის შემდეგ იმავე გამოწვევებს სწორად გაუმკლავდება. ამაშია ლოგიკა და არა ექიმების მიმართ უნდობლობაში, – აღნიშნა სერგეენკომ.

წელს ჯანდაცვის სამინისტრო აკრედიტაციის სისტემის შეცვლასაც გეგმავს. თანამედროვე აკრედიტაციის სისტემა მოიცავს როგორც სამედიცინო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაციის შენარჩუნებას, ასევე ინფრასტრუქტურისა და ძირითადი საორგანიზაციო-მენეჯერული მიდგომების შენარჩუნებას. ლიცენზირების არსებული სისტემა ერთჯერადად ადასტურებს საკუთარ შესაძლებლობებს და შემდეგ ამის გადახედვა აღარ ხდება. მაგალითად, თუ საავადმყოფოს 40 საწოლზე აქვს ერთი კარდიოგრაფი, ის ლეგიტიმურია, რომ იმუშაოს და ჰქონდეს ამის უფლება. მინისტრი ამბობს, რომ, ძველისგან განსხვავებით, ახალი მიდგომა დინამიკურია და უნდა იყოს გაწერილი, რამდენად სწორად ხდება, მაგალითად, კარდიოგრაფის მონაცემების ინტერპრეტაცია, მისი ინჟინრული მოვლა; როცა ერთ საწოლზე უნდა იყოს 8 კვადრატული ფართი, მხოლოდ ეს საკმარისი არ არის – უნდა დაინტერესდნენ, რამდენად სწორად ხდება ამ ფართის დამუშავება, ინფექციებზე კონტროლი და ასე შემდეგ.

– სტატიკური მოდელიდან გადავდივართ დინამიკურ მოდელზე. ეს არ იქნება იმპერატიული – 3 წელიწადში ან 5 წელიწადში ერთხელ. მიღებულია, რომ ზოგ მოდელში 2 წელიწადში ერთხელ ხდება გადაფასება-გადამოწმება, რესერტიფიცირება, ზოგში 3 და 5 წელიწადში. აქ დოგმა არ არის. ეს იქნება დიალოგი სპეციალისტებთან, კოლეგებთან, ექსპერტებთან და ამის მიხედვით გაიწერება გეგმა, – აღნიშნა სერგეენკომ.

ვოვა არუთინოვის დედა შვილის საქმის ხელახალ გამოძიებას ითხოვს

შორენა მარსაგიშვილი

ახალი ხელისუფლება ხშირად ამაყობს იმით, რომ პოლიტპატიმრები გარეთ გამოუშვა. ახალი ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ 25 ადამიანი პოლიტდევნილად გამოაცხადა. ამ ადამიანების ნაწილი საქართველოში უკვე დაბრუნდა. საკანონმდებლო ორგანო უახლოეს მომავალში პოლიტპატიმრების და პოლიტდევნილების ახალ სიაზე იწყებს მუშაობას. ნაციონალები ამბობენ, რომ ამ სიის შემადგენელმა მეოცნებეებმა პოლიტდევნილებისა და პოლიტპატიმრებისაგან სერიოზული თანხები აიღეს. ეს განცხადებები პარლამენტშიც გაკეთდა.

ამ ბრალდებას შემწყალებლები კატეგორიულად უარყოფენ. ფულის აღებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ამ სიაში ბევრი საეჭვო ადამიანი მოხვდა. კომისიას ვოვა არუთინოვის დედამაც მიმართა. თუმცა უარი უთხრეს. პარლამენტი მისი საქმის განხილვას არც მომავალში აპირებს. მას არც ამნისტია შეეხო.

ჩვენს ქვეყანაში ყველამ იცის ვოვა არუთინოვის შესახებ. ამ ადამიანს ჯორჯ ბუშზე ტერორისტული აქტის მოწყობა ედება ბრალად. ბუში საქართველოს 2005 წლის მაისში ეწვია. აშშ-ს პრეზიდენტს დიდი დახვედრა მოუწყვეს, ხინკალიც აჭამეს და აცეკვეს კიდევაც. ქვეყნიდან ამერიკის პირველი პირი მშვიდობიანად გავისტუმრეთ. თუმცა მერე გვამცნეს, რომ ვიღაცა ბუშის აფეთქებას აპირებდა.

მეტი დამაჯერებლობისთვის აშშ-ს პრეზიდენტის ასაფეთქებელი ლიმონკაც გვაჩვენეს, რომელიც თავისუფლების მოედანზე ეგდო. სწორედ ამ მოედნიდან მიმართა ბუშმა ქართველ ერს.

როცა დაისვა კითხვა, რატომ არ აფეთქდა ლიმონკაო, ერთმა მაღალჩინოსანმა განმარტა, ცხვირსახოცში იყო გახვეულიო. ცხვირსახოცი როდიდან აჩერებს ხელყუმბარის აფეთქების პროცესს, ვერ გეტყვით. ლიმონკის აღმოჩენიდან მოკლე ხანში ვოვა არუთინოვი დააკავეს.

ამ საქმესთან დაკავშირებით ბევრი კითხვის ნიშანი არსებობს. ვოვა არუთინოვის დედას, ანჟელა არუთინოვას იმედი ჰქონდა, რომ ახალი ხელისუფლება მისი შვილის საქმეს ხელახლა გამოიძიებდა. მისი მოლოდინი არ გამართლდა. არუთინოვი მეოცნებეებისთვისაც ტერორისტია.

– ჩემი შვილი, ვოვა არუთინოვი, უკვე 7 წელზე მეტია ორთაჭალის მეშვიდე დაწესებულებაში ზის. მას მისჯილი აქვს უვადო პატიმრობა. მას ეძახიან ტერორისტს. გამაგებინეთ, რატომ არის ჩემი შვილი ტერორისტი? ტერაქტი ხომ არ მომხდარა. არც ჩემი შვილის მიერ ლიმონკის სროლის ფაქტი დაფიქსირებულა სადმე. ეს ამერიკელებმაც კარგად იციან. რაც შეეხება იმ ლიმონკას, გაირკვა, რომ ის იყო სასწავლო დანიშნულების. ამის გარდა, სიძველისგან მწყობრიდან გახლდათ გამოსული, – აცხადებს „ახალ თაობასთან“ საუბარში ანჟელა არუთინოვა.

მისი თქმით, ბუშის ვიზიტის დღეს მის შვილს ძალიანაც რომ მოენდომებინა, ვერაფერს გააკეთებდა.

– იქაურობა სამართალდამცავებით იყო სავსე. მოედანზე ხალხს სპეციალურად ამოწმებდნენ, იქ იარაღს ვერავინ შეიტანდა. აღარაფერს ვამბობ ლიმონკის სროლაზე. გაგონილა ეგეთი რამე, ვინმემ ლიმონკა ისროლოს და კაცი შვილმა არ შეამჩნიოს? – ამბობს ტერორისტად მონათლული არუთინოვის დედა.

როგორც უკვე ვთქვით, ანჟელა არუთინოვას ახალი ხელისუფლების იმედი ჰქონდა. თითქმის ყველას სახელზე დაწერა განცხადება.

– პასუხი ასეთი მივიღე, არ გადავხედავთ ვოვას საქმეს. ამას ძალიან განვიცდი. მე ადვოკატი არა მყავს. არც ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი მაქვს. ამიტომ ჟურნალისტებისგან ვითხოვ დახმარებას. იქნებ ჟურნალისტები მაინც დამეხმაროთ სიმართლის დადგენაში, – აცხადებს გამწარებული დედა.

გასაგებია, რომ ახალ ხელისუფლებას არ აწყობის „ბუშის ამფეთქებლის“ შეწყალება. ამაზე ნაციონალები ერთ ამბავს ატეხენ, მაგრამ ის ხომ მაინც შეიძლება, რომ საქმე თავიდან იქნას გამოძიებული. მით უმეტეს ვიცით, როგორ კერავდა ძველი ხელისუფლება გახმაურებულ საქმეებს.

იქნებ მეოცნებეებმა უფრო კარგად ახსნან, რატომ არ შეიძლება არუთინოვის საქმის გადახედვა. პოლიტდევნილთა სიაში ქარქუსოვების შეყვანა თუ შეიძლება, ამ ქვეყნად ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ, რომ ქარქუსოვები საქართველოს წინააღმდეგ იარაღით ხელში იბრძოდნენ.

კობა დავითაშვილმა და სერგო რატიანმა „მაესტროზე“ ერთმანეთს ურტყეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოში პოლიტიკური ტემპერატურა დუღილის ზღვარს უახლოვდება. ნაციონალებსაც და მეოცნებეებსაც უკვე ნერვები ღალატობთ. ახალ პარლამენტში ბევრი სახელოვანი ფალავანია და ხალხი მათგან ელოდა ცემა-ტყეპას. თუმცა სულ სხვა ხალხმა გაიწია მუშტზე.

ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ კობა დავითაშვილი და სერგო რატიანი ასეთ რამეს ჩაიდენდნენ. კობა დავითაშვილი, მოგეხსენებათ, რომ კასპელია. მის მიერ მოქნეულმა მუშტმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა ჭეშმარიტება, რომ „კასპი ტატამია, ტამი“.

რატიანმა და დავითაშვილმა „მაესტროს“ პირდაპირ ეთერში იჩხუბეს. ორივე მათგანი გადაცემა „არგუმენტებში“ იყო მიწვეული. მათი დებატები დაძაბულად წარიმართა. გადაცემის წამყვანი თეა სიჭინავა ამაოდ ცდილობდა მათ დაწყნარებას.

– მკვლელები ხართ! დათქვით ადგილი შეკრების, მოვალ, დაგამტვრევთ და გაგიერთიანებთ ცხვირპირს ყველას ერთად და მერე ჩავჯდები ციხეში! ბოლომდე დაგიჭეჭყავთ მაგ გველის თავებს, – ამბობდა გამწარებული დავითაშვილი.

ნერვებმა პირველს სერგო რატიანს უმტყუნა. მან ჯერ ჭიქა დაახეთქა მაგიდაზე და წამოხტა სკამიდან. წამოხტომა ეგრე არ გინდაო და კობა დავითაშვილი სწრაფად გაექანა მისკენ. პირველმა მუშტი რატიანმა დაარტყა, ამის შემდეგ დავითაშვილმაც არ დააყოვნა და საპასუხო დარტყმით რატიანი ძირს დასცა.

„მაესტროს“ თანამშრომლებმა მხარეების გაშველება ვაი-ვაგლახით მოახერხეს და სტუდიიდან გაიყვანეს.

მომხდარ ინციდენტს სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ნაციონალები მომხდარს გმობდნენ, ოცნების მომხრეს კი მუზებმა შეუტიეს. აი ასეთი სტროფებით ამკობდნენ „მაესტროზე“ დატრიალებულ ქარიშხალს: „რატუნია სერგოს კობას მუშტი ერგო“ და „სერგუნია რატა, მაგიდაზე ახტა. გადმოაგდი ჭიქა, კობა გააბრაზა.“

ის რაც „მაესტროზე“ მოხდა, ნამდვილად ცუდია. თუმცა ისიც დავგმოთ, 2007 წელს დეპუტატი დავითაშვილი თბილისიდან რომ გაიტაცეს და სასიკვდილოდ სცემეს. ეს საქმე დღემდე არ არის გამოძიებული და კიდევ, ნაციონალები სანამ რამეს გააპროტესტებენ, აკაკი ბობოხიძის დასჯაც მოითხოვონ, რომელმაც პეტრე მამრაძეს პარლამენტის სხდომაზე მუშტი გაარტყა.

იმედი ვიქონიოთ, რომ ასეთ ფაქტებს ადგილი აღარ ექნება.

სააკაშვილის ესკორტს ზუგდიდში კვერცხები ესროლეს

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ფეხი აიდგა და სოფელ-სოფელ დადის. სიარული არც ადრე აკლდა. ბიძინა ივანიშვილის აშენებული შენობების გახსნა უყვარდა ძალიან. ახლა ბიძინა აღარაფერს უშენებს და აღარც სააკაშვილი ჭრის ლენტებს. ახლა სააკაშვილი დახურულ საწარმოებს გვაჩვენებს, თუმცა არ გვეუბნება, ფუნქციონირებდნენ თუ არა ისინი ოდესმე.

სააკაშვილს, ეტყობა, აღარც საზღვარგარეთ იწვევენ ძველებურად ხშირად. ამიტომაც გადაწყვიტა, „ჩამოუქროლოს ჩვენს საქართველოს“. ასეთი რამეები პრეზიდენტს არჩევნების წინ ახასიათებს ხოლმე. მაშინ ახსენდება ხალხის გაჭირვება. ოქტომბერში საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდება. ამ არჩევნების მოგება ნაციონალებს წელს ძალიან გაუჭირდებათ. სააკაშვილი თავისას შეეცდება.

პიარი საკმაოდ კარგად გამოსდის. ლოყაზე კურცხალიც არაერთხელ ჩამოჰგორებია. საზოგადოების რაღაც ნაწილი მეოცნებეებით იმედგაცრუებულია და ამით ალბათ კარგად ისარგებლებს ნაცმოძი. სანამ მეოცნებეები ერთმანეთს ჭამენ, საპარლამენტო უმცირესობა პრობლემების გამო ტეხს განგაშს.

მოსახლეობის აზრებისა და გაჭირვების გაგებას სააკაშვილი პირადად აპირებს. ორი დღის წინ ამ მიზნით ის გურჯაანს ეწვია, გუშინ კი სამეგრელოს ესტუმრა. სამეგრელოში სააკაშვილს დაუძინებელი ოპონენტი კახა მიქაია ჰყავს. მისი გაჩერება მაშინაც კი ვერ მოხერხდა, როცა ახალაიები ახალაიობდნენ. ახლა კი კახა მიქაიას ვინ შეაჩერებს.

პრეზიდენტი ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში გაძღიერებული დაცვით ჩავიდა. მანამდე ის ზუგდიდი საავადმყოფოში იყო, სადაც დაჭრილი პოლიციელი მოინახულა.

ახალი ხელისუფლების ღანძღვის ტრადიციას არც აქ უღალატა პრეზიდენტმა. მან იუსტიციის სახლის წინ დადგმულ მემორიალზე გააკეთა განცხადება. მისი თქმით, იუსტიციის სახლთან ძეგლი კრიმინალს დაუდგეს.

– გავიგეთ, რომ არაფრის შენებას არ აპირებენ, მაგრამ უბრწყინვალესად აშენებული იუსტიციის სახლთან დადეს რაღაც მახინჯი ქვა და გაუხსნეს ძეგლი პოლიციასთან შეტაკებაში „გმირულად“ დაღუპულ რუსთავის მე-5 კოლონიის მაყურებელს – ხუბულოვს. როდესაც პოლიციასთან შეტაკებაში დაღუპულ კრიმინალურ ავტორიტეტს მთავრობა უხსნის თბილისის ცენტრში ძეგლს, რა მესიჯი და გზავნილია ეს პოლიციელებისათვის? – აღნიშნა სააკაშვილმა.

ახალი ხელისუფლების დასამარების შემდეგ სააკაშვილი ნარაზენში წავიდა, სადაც მას კახა მიქაია დახვდა თავისი ხალხით. მიქაია ამბობს, რომ პრეზიდენტთან სურდა ბაასი. მაგრამ სააკაშვილის დაცვას გამოაპარებ რამეს? ყველამ კარგად უწყოდა, რომ მიქაია პრეზიდენტთან მუსაიფს არ დასჯერდებოდა. მოსალოდნელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით ონავარი მიქაია ესკორტთან ახლოს არ მიუშვეს. ამას, ბუნებრივია, დიდი წოიკი მოჰყვა. როგორც ამბობენ. პრეზიდენტის ესკორტს კვერცხებიც კი ესროლეს. იმ ადგილზე, სადაც პრეზიდენტს მოსახლეობასთან შეხვედრა ჰქონდა დაგეგმილი, შეიკრიბა მოქალაქეთა ჯგუფი, რომელთაც პრეზიდენტთან შეხვედრა სურდათ, თუმცა მათ ეს ვერ მოახერხეს.

– როდესაც პრეზიდენტმა გაიგო, რომ ჩვენ სამოქალაქო პოზიციის გამოხატვა გვსურდა, გვინდოდა მასთან შეხვედრა და საუბარი სხვადასხვა თემაზე, იგი გაიქცა. ხომ ლაპარაკობს თვითონ, ხალხს უნდა შევხვდეო. ის მიჩვეულია დაგეგმილ შეხვედრებს, მათ მიერ მიყვანილ ხალხს, სადაც განსხვავებული აზრი არ არსებობს. ჩვენ გვინდოდა მასთან შეხვედრა. გაიქცა იმ შეხვედრიდან. შემდეგ შეხვედრა მოაწყო ვიღაცის სახლში 15 კაცთან, მერე თვითმფრინავში ჩაჯდა და გაფრინდა. აი, ეს მოხდა. პოლიციამ არ მიგვიშვა სააკაშვილთან სალაპარაკოდ... გამოიძახეს სპეცრაზმი, მთელი პოლიცია მობილიზებული იყო იქ და არ მიგვიშვეს მასთან. ხომ ლაპარაკობს კოჰაბიტაციაზე?! კოჰაბიტირებულები ვართ ჩვენ და დაგვალაპარაკეთ პრეზიდენტს, – განუცხადა „მედიანიუსს“ აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, „დაიცავი საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა კახა მიქაიამ.

კახა მიქაია უკვე დიდი ხანია ნერვებს უშლის სააკაშვილს. ალბათ, გახსოვთ, ხმა გავარდა, პრეზიდენტი სამუშაოდ ზუგდიდის რეზიდენციაში გადადისო. იქ მიქაიამ ამბები ატეხა, მტრისას. მას სხვა ზუგდიდელებიც აჰყვნენ და განაცხადეს, სააკაშვილს აქ არ ჩამოვუშვებთო.

ზუგდიდში მომხდარი ინციდენტი ნაციონალებმა, ბუნებრივია, დაგმეს, მომხდარს პროვოკაცია უწოდეს და მის შემკვეთად „ქართული ოცნება“ დაასახელეს.

ბიძინა გიორგობიანი: „საქართველოში განვითარებულ მოვლენებს გარედან ვერ ვუყურებ“

შორენა კოწოწაშვილი

სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში პოლიტიკურ დევნილობაში მყოფი ბიძინა გიორგობიანი ორი დღის წინ საქართველოში დაბრუნდა და სამმავლო გეგმებთან დაკავშირებით საჯარო განცხადებები გააკეთა. გიორგობიანის აზრით, პარლამენტის მხრიდან პოლიტპატიმრების აღიარება და მათი ციხეებიდან გათავისუფლება დადებითად წაადგება დემოკრატიის გზაზე მდგარ საქართველოს. მისი თქმით, სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდში ხდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტების მიზანმიმართული დასუსტება, ხორციელდებოდა ერთპარტიული მმართველობა, რამაც ქვეყანას მძიმე შედეგები მოუტანა. გიორგობიანის თქმით, ნაციონალური უმრავლესობის პირობებში საქართველოში ტირანიის ნიშნები იყო და ეს მხოლოდ ერთპარტიულ მმართველობაში კი არა, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც გამოიხატებოდა.

გერმანიიდან დაბრუნებული ბიძინა გიორგობიანი აცხადებს, რომ არ სურს, საქართველოში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს გარედან უყუროს, ამიტომ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართვას გეგმავს. რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად რომელ პოლიტიკურ ძალასთან ხედავს ბერლინიდან ერთი თვით ჩამოსული სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი თავის მომავალს, როგორც თავად გიორგობიანმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ბუნებით, პოლიტიკური მრწამსით კონსერვატორია და, შესაბამისად, კონსერვატორულ პარტიასთან მჭიდროდ ითანამშრომლებს.

– საქართველოში იმისათვის ჩამოვედი, რომ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა მივიღო. ეს პოლიტიკური მომავალი ყველასთვის ღია იქნება. იმ პოლიტიკურ ცვლილებებს, რომლებიც საქართველოში დაიწყო, სჭირდება აქტიური მუშაობა, როგორც საკანონმდებლო, ისე სამოქალაქო სექტორში. ვითანამშრომლებ იმ პარტიებთან, რომელთა გზაც მიმართულია საქართველოს დემოკრატიული განვითარებისა და ადამიანის უფლებების დაცვისკენ, – განაცხადა ბიძინა გიორგობიანმა, რომელიც კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობას ღიად აფიქსირებს.

რაც შეეხება იმას, იყო თუ არა ივანიშვილის მთავრობის მხრიდან მასთან შემოთავაზება კონკრეტულ თანამდებობაზე, როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, მსგავსი ფაქტი არ ყოფილა. თუმცა გიორგობიანი აცხადებს, რომ გამორიცხული არაფერია.

– ჩემი საქმიანობა პარტნიორებთან კონსულტაციების შემდგომ გადაწყდება. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩავერთვები, თუმცა მეტ კონკრეტიკაზე საუბარი პარტნიორებთან მოლაპარაკების შემდეგ შემეძლება. სუსტი დემოკრატიის მქონე ქვეყნებში თუ შენ არ დაინტერესდები პოლიტიკით, პოლიტიკა დაინტერესდება შენით და სახლში შემოგივარდება, – აღნიშნა ბიძინა გიორგობიანმა.

სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი საპარლამენტო არჩევნებსაც შეეხო და აღნიშნა, რომ 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნები შორს იყო იდეალურისგან.

– ნაციონალურმა მოძრაობამ, პრაქტიკულად, იძულებით დათმო ხელისუფლება, თუმცა არჩევნებით ხელისუფლების ცვლილება იყო წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც ქვეყნის დემოკრატიულ გაძლიერებას გამოადგება. სააკაშვილის ხელისუფლების პირობებში ხდებოდა დემოკრატიული ინსტიტუტების მიზანმიმართული დასუსტება, რამაც საბოლოოდ ტირანიის დამახინჯებული ფორმა მოგვიტანა. ეს გამოიხატებოდა არა მხოლოდ ერთპარტიული მმართველობით, არამედ ტოტალური მოსმენებითა და ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევით, მათ შორის ჯარსა და ციხეებში. მივესალმები, რომ ოპოზიციამ მოახერხა დემოკრატიული განვითარების იდეის გარშემო კონსოლიდაცია და ქვეყანამ ნაბიჯი დემოკრატიისკენ განსაკუთრებული რყევების გარეშე გადადგა, – განაცხადა ბიძინა გიორგობიანმა და დადებითად შეაფასა საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან პოლიტიკური ამნისტია – პოლიტპატიმრებისა და პოლიტდევნილების გათავისუფლება.

ბიძინა გიორგობიანი მის წინააღმდეგ მოქმედ მთავარ ფიგურებად ვანო მერაბიშვილს, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის ყოფილ უფროს დათა ახალაიას, მერაბიშვილის მოადგილე ამირან მესხელსა და გივი თარგამაძეს ასახელებს, რომლებიც, გიორგობიანის მტკიცებით, პრეზიდენტ სააკაშვილის დავალებით მოქმედებდნენ.

– ეს ყველაფერი მიხეილ სააკაშვილის თანხმობით ხდებოდა. ამაში ჩართული იყვნენ კუდისა და კონტროლის პალატის წარმომადგენლები. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები მაშინ ყველა უწყებაში იყვნენ მიმაგრებული მრჩევლების სახით. ასეთები იყვნენ გარემოს დაცვის სამინისტროშიც. ხშირია, როდესაც ერთი დაჯგუფება, რომელიც ხელისუფლების უზურპაციისკენ მიდის, სხვა პარტიის წევრებს ან დამოუკიდებელ ადამიანებს დევნის. სატყეო დეპარტამენტში ყალბი დოკუმენტაციით ხდებოდა ფინანსური მაქინაციები, რაც მე ავკრძალე. ვეწინააღმდეგებოდი ჩაქუჩის ქვეშ ტყეების გასხვისებას, რის გამოც კახა ბენდუქიძესთან არაერთხელ მქონდა მძიმე საუბარი. მისი არაეთიკური ლექსიკა კი კარგად მოგეხსენებათ, – განაცხადა ბიძინა გიორგობიანმა. მისი თქმით, მთავარი მიზეზი, რის გამოც ის მიუღებელი იყო სააკაშვილის გუნდისთვის, ის იყო, რომ ის თავის დროზე ჟვანიამ ჩამოიყვანა, ანუ ჟვანიას მეგობარი იყო და არა მათი გუნდის წევრი. ამიტომ იფიქრეს, ეს კაცი აქედან მოვაშოროთო.

დევნილობიდან დაბრუნებულმა გიორგობიანმა მის მიერ ინტერპოლით ძებნაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს ბოლო 8 წელი უმძიმესი იყო მისთვის. მართალია, გიორგობიანის თქმით, მას, საქართველოს მოქალაქეობასთან ერთად, გერმანიის მოქალაქეობაც აქვს, მაგრამ, როცა ინტერპოლით იძებნები, ძნელია იმ საქმიანობის უპრობლემოდ განხორციელება, რასაც ის ასრულებდა.

– ჩემზე ინტერპოლის წითელი ცირკულარით ძებნა გივი თარგამაძის უშუალო მითითებით გამოცხადდა, რამაც გერმანიაში ცხოვრება ძალიან გამირთულა, – აღნიშნა გიორგობიანმა და იქვე გაიხსენა, რომ საქართველოდან ხელახლა ემიგრაციაში წასვლიდან სამ დღეში, მისი სატელევიზიო მიმართვის შემდგომ, მას შს მაშინდელმა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა დაურეკა. „მითხრა, რატომ არ მითხარი ის ყველაფერი, რაზეც მიმართვაში საუბრობო. ვუთხარი, რომ მალე მათი უკანონო ქმედებების დამადასტურებელ დოკუმენტებს გამოვაქვეყნებდი. ვუთხარი, რომ ყველაფერი მისთვის ცნობილი იყო. ამის შემდგომ ჩვენი საუბარი საბოლოოდ დასრულდა“, – განაცხადა გიორგობიანმა, რომელსაც უკვირს, რატომ შეუფარდა მას სასამართლომ დაუსწრებლად 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, იმ დროს, როცა პროკურატურამ 8 წელი მოითხოვა. გიორგობიანის თქმით, თუ საშუალება მიეცემა, ის აუცილებლად ჰკითხავს მოსამართლეს, რამ განაპირობა მისი ასეთ ჰუმანურობა.

რაც შეეხება იმას, აპირებს თუ არა სამართლებრივი პროცედურების დაწყებასა და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მოთხოვნას მთავარ პროკურატურაში იმათ წინააღმდეგ, ვინც სატყეო დეპარტამენტის ყოფილი უფროსი თანამდებობაზე დანიშვნიდან კვლავ პოლიტიკურ ემიგრაციაში დააბრუნა, როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე თავად ბიძინა გიორგობიანმა აღნიშნა, ამ ეტაპზე მას გადაწყვეტილი არ აქვს, ამ ადამიანების წინააღმდეგ სამართლებრივი პროცედურები წამოიწყოს. ამას არცთუ მცირე დრო სჭირდება და არ სურს, ამაზე თავისი ძვირფასი დრო დაკარგოს. თუმცა, საბოლოო გადაწყვეტილებას გიორგობიანი კონსულტაციების მიღების შემდგომ გეგმავს.

გიორგობიანმა ყურადღება გაამახვილა ფონდ „ქომაგში“ მის მიერ გადარიცხულ თანხაზეც, რომელიც ნათია მოგელაძის მიერ იქნა დაყადაღებული და აღნიშნა, რომ, როგორც მისთვის არის ცნობილი, ხელისუფლების შეცვლის შემდგომ „ქომაგმა“ ეს თანხა მიზნობრივად გამოიყენა – გადაეცა პოლიტპატიმართა ოჯახის წევრებს და სამსახურებიდან უკანონოდ, პოლიტიკური ნიშნით დათხოვნილებს.

ჟურნალისტები დაინტერესდნენ, აპირებს თუ არა ზურაბ ჟვანიას მეგობარი, პროკურატურას პრემიერის გარდაცვალებასთან დაკავშირებით რაიმე ახალი ინფორმაცია მოაწოდოს. ბიძინა გიორგობიანი აცხადებს, რომ პრემიერის მოკვდინებასთან დაკავშირებით გამოძიებისთვის საინტერესო ინფორმაციას არ ფლობს, თუმცა აქვს ჟვანიას „ძალადობით მოკვდინების“ ვარაუდი. ვარაუდებზე საუბრისგან კი გიორგობიანი ამ ეტაპზე თავს იკავებს.

– გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე ზურაბ ჟვანია ჩემთან პირად საუბრებში აღნიშნავდა, რომ ყოფილ პარტნიორებთან გაუცხოება დაეწყო და დაძაბულობა ჰქონდა, – აღნიშნა გიორგობიანმა და იქვე დააკონკრეტა, რომ ჟვანია ყოფილ პარტნიორებს შორის სააკაშვილის გუნდს გულისხმობდა. გიორგობიანის თქმით, მას აქვს მოსაზრებები ჟვანიას მოკვდინებაზე, მაგრამ ამის მტკიცებულებები არ გააჩნია და მოსაზრებების დონეზე ვერ ისაუბრებს.

პრესკონფერენციის ბოლოს გიორგობიანმა კიდევ ერთხელ დააკონკრეტა, რომ მისი პოლიტიკური მომავალი მის მეგობრებთან კონსულტაციების შემდგომ გადაწყდება.

– მე შემიძლია, სამსახური ვიშოვო აქაც და ბერლინშიც ჩემი პროფესიით, მაგრამ მე არ ვარ ადამიანი, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არ იქნება აქტიურად ჩართული. მე ვაპირებ, რომ აქტიურად ვიყო ჩართული საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, – აღნიშნა გიორგობიანმა.

ჯონდი ბაღათურია: „ნაციონალებთან დიალოგი არ შეიძლება“

შორენა კოწოწაშვილი

უნდა მივიდეს თუ არა ბიძინა ივანიშვილი სააკაშვილთან შეხვედრაზე და უნდა აგოს თუ არა გიგა ბოკერიამ პასუხი ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენების გამო? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან.

— ბატონო ჯონდი, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარ დაპირისპირებას საპარლამენტო უმცირესობა ბიძინა ივანიშვილისა და უმრავლესობის ინტერესებით ხსნის. ვის აწყობდა ფიზიკური დაპირისპირება პრეზიდენტის გამოსვლის დღეს?

— თავიდანვე ერთმნიშვნელოვნად მინდა განვაცხადო, რომ ის, რაც 8 თებერვალს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მოხდა, პროვოცირებული იყო პრეზიდენტ სააკაშვილის, გიგი უგულავასა და რამდენიმე დეპუტატის მიერ ნაციონალური მოძრაობიდან. ისინი იქცეოდნენ პროვოკაციულად, გამომწვევად და საპატიმროებში უკანონოდ პოლიტიკური ნიშნით გამომწყვდეულ ადამიანებს აღიზიანებდნენ. ასე იქცეოდა პირადად გიგი უგულავა და ჟესტიკულაციით ახდენდა პროვოცირებას. ასევე იქცეოდნენ სერგო რატიანი, დავით დარჩიაშვილი. ასევე იქცეოდა, მაგალითად, კანდელაკი. კანდელაკი და რატიანი გამორჩევიან, კადრების თანახმად, იმით, რომ მისდევდნენ მომიტინგეებს და ისე სცემდნენ, ანურეალურად შეურაცხყოფა თვითონ მიაყენეს. ჩვენ ვგმობთ ძალადობის ყოველგვარ გამოვლინებას, მათ შორის ძალადობას იმ ნაძირალებზეც, რომლებიც წლების განმავლობაში თვითონ ჩადიოდნენ ძალადობას. მაგრამ ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით ჩვენი პოლიტიკური სპექტრი, ასევე დიპლომატიური კორპუსი უნდა შეეჩვიოს იმას, რომ კანონის წინაშე ყველა თანაბარია.

— ანუ პასუხისმგებლობა ბოლომდე სააკაშვილის თანაგუნდელებს ეკისრებათ ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარ სისხლიან დაპირისპირებაზე?

— რა თქმა უნდა. ვნახეთ, რომ მომიტინგეებს ფიზიკური დაზიანებები აქვთ მიყენებული მათ მიერ. ასე რომ, უნდა ვიცოდეთ, იმ დაძაბულობის ინსპირატორი ნაციონალური მოძრაობა იყო და, შესაბამისად, პასუხისმგებლობაც მას ეკისრება. თვითონ შედიოდნენ კონფლიქტში. მაგრამ ჩვენი საზოგადოება, განსაკუთრებით დიპლომატიური სპექტრი, უნდა შეეჩვიოს იმას, რომ საქართველოში კანონის წინაშე დანაშაულზე პასუხს აგებს როგორც რიგითი აქციის რიგითი წევრი, თანამდებობის პირი, ასევე დედაქალაქის მერი იქნება ის თუ დეპუტატი. უფრო მეტიც, მათი მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ და ეს პასუხისმგებლობა უნდა იგრძნონ. თუკი ერთსა და ორ მომიტინგეს აკავებენ, აქ თბილისის მერის დაუპატიმრებლობა და პარლამენტის წევრების პასუხისგებაში არმიცემა, რა თქმა უნდა, საზოგადოებაში კვლავ უსამართლობის განცდას აჩენს. ნაციონალური მოძრაობის მოქმედებას ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ვაფასებთ პროვოკაციულად. ჩემი პარტიის წევრები იმყოფებოდნენ იმ დღეს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და ისინი ამბობენ, რომ პოლიცია კანონის სრული დაცვით იქცეოდა.

— პოლიციის ქმედება გააკრიტიკეს არასამთავრობებმაც, საპარლამენტო უმცირესობის პარალელურად.

— მინდა, ცალსახად აღვნიშნო, რომ პოლიციამ შესაძლებლობის მაქსიმუმი გააკეთა შექმნილ ვითარებაში. შს სამინისტრომ და საპატრულო პოლიციის ქვედანაყოფმა არ დაუშვა ძალადობა და მოქმედებდა პროფესიონალურად და კანონის სრული დაცვით. საპარლამენტო უმცირესობის წევრები აქტიურად ცდილობენ, მომხდარში ყოფილი პოლიტპატიმრები დაადანაშაულონ. პოლიციამ დაიცვა ხალხი ამ კუნთმაგარი და გონებაჩლუნგი ადამიანებისგან.

— თქვენ აცხადებთ, რომ პოლიცია კანონის სრული დაცვით მოქმედებდა. ვანო მერაბიშვილმა ირაკლი ღარიბაშვილსა და მის უწყებას უსუსური უწოდა.

— სრულიად უსამართლო პრეტენზიებია პოლიციის მიმართ. სრული პასუხისმგებლობით მინდა გითხრათ, რომ პოლიცია იქცეოდა ღირსეულად და კანონის სრული დაცვით. შინაგან საქმეთა მინისტრი მოვიდა მანამდე, სანამ სისხლით მოირწყვებოდა ქუჩები. ეს იყო მისი მხრიდან ძალიან ღირსეული საქციელი. ვიცით, რაოდენ გამწარებული ადამიანები იდგნენ სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენლების პირისპირ, ანუ იმათ პირისპირ, ვინც ისინი აწამა, ცხოვრება გაუმწარა და იმ სისასტიკეში ამყოფა, რომელიც ჩვენ ყველამ ვიხილეთ იგივე ცნობილი „ციხის კადრების“ სახით. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, ყველამ კარგად ვიცით, როგორ იქცეოდა პოზიცია მისი მინისტრობის პერიოდში. ის მომიტინგეებთან მაშინ მიდიოდა, როცა ქუჩები სისხლით მოირწყვებოდა. ყველას გვახსოვს, დასისხლიანებული მომიტინგეები როგორ ეყარნენ ქუჩაში, მაღაზიის სახურავზე როგორ შემოდებდნენ ხოლმე მოკლულ მომიტინგეებს და მერე ისე წარმოაჩენდნენ საზოგადოების წინაშე, თითქოს დენის დარტყმის შედეგად გარდაიცვალნენ და არა პოლიციის სისასტიკის. რაც პოლიციამ 8 თებერვალს გააკეთა, ის მართლაც იყო მაქსიმუმი. თუკი კარგად გავაანალიზებთ შექმნილ ვითარებას, ყველა დავრწმუნდებით, რომ პოლიცია სწორად მოიქცა. რა ეგონათ, მშვიდად მიიღებდნენ მათ გამოჩენას ის ადამიანები, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის რეპრესიების მსხვერპლნი არიან?! დაავიწყდათ, როგორ სცემდნენ ისინი ხალხს ქუჩებში და როგორ ხვრეტდნენ?! პოლიციამ ზუსტად იმდენი ძალა გამოიყენა, რამდენის უფლებაც ჰქონდა იმ დღეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიცია მხოლოდ შექების ღირსია ასეთი ქმედებისთვის და არა საყვედურის. მერაბიშვილისა და ღარიბაშვილის საქციელის განსხვავება აშკარაა. აბა, ჩვენ როგორი პოლიცია გვინდა, როცა ვანო მერაბიშვილის დროს პოლიცია მომიტინგეებს დუბინკებითა და ხელკეტებით უმასპინძლდებოდა?! უბრალოდ, პოლიციამ არ გამოიყენა იმაზე მეტი ძალა, რამდენის გამოყენების უფლებაც ჰქონდა იმ დღეს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ პოლიცია მხოლოდ შექების ღირსია ასეთი ქმედებისთვის და არა საყვედურის.

— პრეზიდენტმა სააკაშვილმა პარლამენტის თავმჯდომარესთან შეხვედრის შემდგომ კიდევ ერთხელ დააფიქსირა საპარლამენტო უმრავლესობასთან დიალოგის სურვილი. პრეზიდენტმა შექმნილ ვითარებას საგანგებო მდგომარეობა უწოდა და ასეთ ვითარებაში აუცილებლობად მიიჩნია პრემიერ-მინისტრის კვირაში ერთხელ პრეზიდენტთან შეხვედრა. მართლაც საგანგებო მდგომარეობაა ქვეყანაში?

— სააკაშვილის ეს მოწოდებები არის ცრუ მოწოდებები დიალოგისთვის. ეს არის მორიგი პიარაქცია. არანაირი დიალოგისთვის ის ამ მოწოდებას არ აკეთებს. გავიხსენოთ, ყველა ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობა და ამ მოძრაობის ლიდერის დისკრედიტაცია სააკაშვილმა სწორედ ამ დიალოგის ფორმატში მოახდინა. მასთან მოლაპარაკებები არის არასწორი და მისთვის ხელსაყრელი. სააკაშვილს სურს წარმოაჩინოს, რომ ის არის პიროვნება, რომელსაც ელაპარაკებიან. ამ მოლაპარაკებებით სააკაშვილს უნდა აჩვენოს, რომ ის უფუნქციო არაა და რომ ჯერ კიდევ გავლენა აქვს. მეორე მხრივ, ამ მოლაპარაკებებით სააკაშვილს უნდა, როგორმე მოახდინოს „ქართული ოცნების“ და პრემიერ-მინისტრის დისკრედიტაცია და ისეთ განცხადებებს აკეთებს, რომელსაც, მისი აზრით, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც პრემიერის დისკრედიტაცია მოჰყვება. რეალური მოლაპარაკებები მას არ აინტერესებს. ეს კიდევ ერთხელ დაამტკიცა მისმა სრულიად უტაქტო საქციელმა მას შემდგომ, რაც პარლამენტის თავმჯდომარესთან დახურულ კარს მიღმა საუბრის შემდგომ გამოვიდნენ და ბრიფინგი ერთად ჩაატარეს. დამერწმუნეთ, ვერც სააკაშვილი და ვერც მისი ერთი მუჭა ბანდა ვერაფერს მიაღწევენ. მათი პასუხისმგებლობის საკითხი ძალიან მალე დადგება. სააკაშვილი დიალოგის თაობაზე მოწოდებას აკეთებს იმისათვის, რომ შეხვედრა ჩატარდეს შეხვედრისთვის და არა კონკრეტული შედეგისთვის. სააკაშვილი ცდილობს, საქართველოს მთავრობა უსუსურად წარმოაჩინოს, თუმცა ავიწყდება, რომ დღეს სხვა ვითარებაა და სახელმწიფო ინსტიტუტები თავიანთ სიტყვას იტყვიან. სააკაშვილს უნდა, დასავლეთს აჩვენოს, რომ ის არ არის გარიყული და მას ელაპარაკებიან. ამით უნდა მას ახალი მთავრობის დისკრედიტაცია ქვეყნის შიგნით.

— თქვენი აზრით, შედეგიანი არ იქნება საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის ლიდერების შეხვედრები და დიალოგი იმავე პრეზიდენტთან?

— რა თქმა უნდა, უშედეგო იქნება სახელმწიფოსთვის. ეს არის შეხვედრა შეხვედრისთვის და არა შედეგისთვის. სააკაშვილს აწყობს ეს შეხვედრები იმისათვის, რომ აჩვენოს, თითქოს პოლიტიკურ პროცესში ჩართულია და ჯერ კიდევ აქვს გავლენა. თუ რაიმე შედეგი უნდა სააკაშვილს, თავად აგებინოს პასუხი იმ თანაპარტიელებს, რომლებიც მომიტინგეებს აგინებდნენ და ხალხს პირდაპირ ჩხუბში იწვევდნენ.

— პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ საკონსტიტუციო ცვლილებათა პაკეტის შეჯერება უნდა მოხდეს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული უმცირესობის წინადადებები იმავე საგარეო კურსთან დაკავშირებით და პარლამენტი ქუთაისში უნდა დარჩეს დეცენტრალიზაციის საბაბით.

— სასაცილოა. სააკაშვილის არც ერთი სიტყვის არ მჯერა. რაც უთქვამს, არაფერი არ შეუსრულებია. პრეზიდენტი არის უპასუხისმგებლო და უპირო ადამიანი. მინდა იცოდეთ, რომ სააკაშვილის სიტყვას ფასი აღარ აქვს. სააკაშვილი არის წარსული. რასაც ამბობს, იმის 10%-საც არ აკეთებს. მისი განცხადებები მხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე მუშაობს. ამიტომ, ჩემი აზრით, მასთან მისვლა და მოლაპარაკებების დაწყება იყო სწორი, მაგრამ ახლა საპარლამენტო უმრავლესობა არ უნდა ჩაჰყვეს სააკაშვილს ამ მოლაპარაკებების რუტინაში. სააკაშვილი ამ მოლაპარაკებებით დროსაც მოიგებს და თან შეეცდება, ამ მოლაპარაკებებით მოახდინოს მთავრობის დისკრედიტაცია. ალბათ, ორი-სამი შეხვედრა უნდა მოხდეს. ვფიქრობ, პრემიერი პრეზიდენტთან ამ უშედეგო შეხვედრებზე არ უნდა მივიდეს. დარწმუნებული ვარ, ნებისმიერი შეხვედრა სააკაშვილთან და მის უმცირესობასთან უშედეგო იქნება. რაც შეეხება დეცენტრალიზაციას, ამაზე ნაციონალების მხრიდან აქცენტი სასაცილოა.

ნიკოლოზ მჟავანაძე: „მადნეული“ საქართველოს ეკოლოგიას აჩანაგებს

გულიკო ბალაძე

— რაც სააკაშვილმა გაუკეთა საქართველოს გარემოს, მის აღმოფხვრას ათწლეულები დასჭირდება, — განაცხადა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ ნიკოლოზ მჟავანაძემ.

როგორც ნიკოლოზ მჟავანაძე აცხადებს, სააკაშვილმა გაანადგურა საქართველოს ტყეები და ამით დიდი ზიანი მიაყენა ქვეყნის გარემოს.

— ამ კაცმა გააჩანაგა, გაანადგურა ეკოლოგია საქართველოში. ტყეები გაანადგურა, მდინარეები გააყიდვინა, ჰაერი დაბინძურებულია. ქალაქში რეკრიაცია განადგურებულია, უამრავი საწარმო მუშაობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე. ყველაფერ ამის შესახებ ჩვენ ვიწყებთ მუშაობას აქტიურად, რათა ეს პრობლემები აღმოვფხვრათ, — აცხადებს ნიკოლოზ მჟავანაძე.

სწორედ ამ მიზნით გუშინ „უფლებადამცველთა გაერთიანებამ“ რამდენიმე არასამთავრობო გარემოსდაცვით ორგანიზაციასთან ერთად შექმნა „არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანება“.

გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა გაერთიანებაში შედიან თვით „უფლებადამცველთა გაერთიანება“, „ეკოლოგია და გარემო“ (ხელმძღვანელი ედიშერ გუბავა), „ეკოთეკი“ (ხელმძღვანელი დემურ ვეკუა), „საქართველოს მეტყევეთა ასოციაცია“ (ხელმძღვანელი თეიმურაზ კანდელაკი), „საინჟინრო კვლევების სპეციალისტთა თანამშრომლობის პროექტების ექსპერტიზისა და საჯარო დისკუსიების საორგანიზაციო ცენტრი“ (ხელმძღვანელი ედიშერ კაცაძე) და სხვა ექსპერტები.

გარემოსდამცველ არასამთავრობოთა გაერთიანების მუშაობაში ჩართული იქნება იურისტთა ჯგუფი, რომელსაც წარმოადგენს გიორგი ბედოშვილი. ისინი ერთობლივად იმოქმედებენ გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით.

ნიკა მჟავანაძე აცხადებს, რომ მათი მიზანია ერთობლივად იმუშაონ ეკოლოგიური პრობლემების კუთხით.

— ჩვენს ამ ეტაპზე მუშაობასა და სააკაშვილის პირობებში მუშაობას შორის ის განსხვავება იქნება, რომ ახლანდელი ხელისუფლება ხალხის ხელისუფლებაა. იმედი მაქვს, ბიძინა ივანიშვილი ჩვენს გამოსვლებს, ჩვენს კრიტიკას, ჩვენს მოსაზრებებს გაითვალისწინებს და რეალურად იქნება ის სიტუაცია, რომ ამ მხრივ ბევრი პრობლემა მოგვარდეს, — ამბობს ნიკოლოზ მჟავანაძე.

გარემოსდაცვითი არასამთავრობოთა გაერთიანება დადებს კომპლექსური ექსპერტიზის დასკვნებს, ჩატარდება გარემოს დაცვის შესახებ აუდიტი.

ამ გაერთიანების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები იქნება ბიოუსაფრთხოება და სუფთა საკვები, ბიომრავალფეროვნება და ტყის დაცვა, ნარჩენების მართვა, ეკოლოგიური სოფლის მეურნეობა, მტკნარი წყლის, ჭაობებისა და ზღვების სანაპირო ზოლის დაცვა, ჰაერის მონიტორინგი.

— ყველაფერზე ვიმუშავებთ, რაც გარემოს დაცვის კუთხით არის. „უფლებადამცველთა გაერთიანება“ ძირითადად სამართლებრივი კუთხით მუშაობს, მაგრამ ადამიანის უფლებები მხოლოდ ვინმეს სამართლებრივად დაცვა არ არის. ადამიანის უფლებების დაცვაა ის, რომ შევუქმნით მოსახლეობას ჯანმრთელ და უვნებელ გარემოს. ადამიანის უფლებები ირღვევა, როცა მოწამლულ გარემოში ცხოვრობს. თუ ხელისუფლება ან რომელიმე ორგანიზაცია პრობლემებს გიქმნის, ეს აუცილებლად უნდა იქნას გათვალისწინებული და უფლება დაცული.

— ბატონო ნიკოლოზ, რაიმე კონკრეტული მონაცემები ხომ არ გაქვთ გარემოზე მიყენებული ზიანის თაობაზე?

— გარემოზე მიყენებული ზიანის თაობაზე ჩვენ კონკრეტული მონაცემები გვაქვს, მაგრამ ამას მომავალ კვირაში გავახმაურებთ. მაგალითად, მომავალ კვირაში ჩვენ მადნეულთან დაკავშირებით საკმაოდ მწვავე მასალას და სურათს წარმოვადგენთ იმის თაობაზე, რაც ხდება იქ.

— რა არის მადნეულთან დაკავშირებით საგანგაშო?

— ამას საზოგადოება მომავალ კვირას გაიგებს.

„საქართველოს მეტყევეთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა, პროფესორმა თეიმურაზ კანდელაკმა ისაუბრა კონკრეტულად, საქართველოს ტყეებთან დაკავშირებით შექმნილ მდგომარეობაზე.

— დღეს საქართველოში ტყის რეფორმა მიმდინარეობს. სატყეო პოლიტიკა, რომელსაც საქართველოში „ნაციონალური“ ხელისუფლება ატარებდა, ძალიან ცუდი იყო. მათ ტყის მიმართ მხოლოდ მომხმარებლური დამოკიდებულება ჰქონდათ. საქართველოში ტყეს ოდითგანვე გარემოსდაცვითი ფუნქცია აქვს. სააკაშვილმა ის აქცია მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკური ეფექტის მიღების წყაროდ, შემოსავლის მიღების საშუალებად. ტყეები გაიყიდა, გაიჩეხა, საზღვარგარეთ გადის, რაც არ შეიძლება გაგრძელდეს, — განაცხადა თეიმურაზ კანდელაკმა.

თეიმურაზ კანდელაკის პოზიციაა, რომ ის პოლიტიკა, რასაც წინა ხელისუფლება ახორციელებდა ტყეების მიმართ, უნდა შეიცვალოს და მოხდეს ტყეების აღდგენა.

— ის, რაც განადგურდა, უნდა აღდგეს. უნდა მოხდეს ტყის მასივების აღდგენა. საქართველოში უნდა შეიქმნას ისეთი ძლიერი რგოლი სატყეო დეპარტამენტის სახით, როგორც ეს იყო კომუნისტების დროს, როცა სატყეო სექტორი ძალიან მძლავრი იყო. მაშინ სატყეო სექტორში უამრავი ადამიანი იყო დასაქმებული, ათასობით ხე ირგვებოდა, დღეს კი არავითარი დარგვები არ ხდება. პრობლემები უნდა გადაიჭრას.

ასევე ტყის ჭრაზე კონტროლი უნდა გამკაცრდეს. ამ საკითხში ჩართული უნდა იქნან ექსპერტები.

ნიკოლოზ მჟავანაძის განცხადებით, სატყეო სექტორში ისევ ძველი კადრები რჩებიან. ეს ის კადრებია, რომლებმაც ტყეს ზიანი მიაყენეს.

— სამწუხარო ის არის, რომ სატყეო სექტორში ისევ არიან ძველი კადრები, რომლებმაც სატყეო სექტორს მხოლოდ ზიანი მოუტანეს. ჩვენი მოთხოვნაა, სატყეო პოლიტიკა საქართველოში იმდაგვარად წარიმართოს, რომ საქართველოში ტყეს ჰქონდეს მხოლოდ გარემოსდაცვითი ფუნქცია. ამიტომ თეიმურაზ კანდელაკის პოზიცია ხელისუფლებამ უნდა გაიზიაროს, — ამბობს ნიკოლოზ მჟავანაძე

„საინჟინრო კვლევების სპეციალისტთა თანამშრომლობის პროექტების ექსპერტიზისა და საჯარო დისკუსიების საორგანიზაციო ცენტრის“ ხელმძღვანელმა ედიშერ კაცაძემ ისაუბრა გარემოზე ზემოქმედების შეფასების თაობაზე.

მან აღნიშნა, რომ საწარმოები, ობიექტები მუშაობენ გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე. ეს არის დიდი პრობლემა. მაგალითად, პრობლემაა ნაგავსაყრელი, რომელიც გაკეთდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების გარეშე. ასევე გარემოზე ზემოქმედების შეფასება არ გაკეთებულა ზესტაფონის „ფეროს“ თაობაზე და ეს შეფასება გასაკეთებელია.

პარლამენტმა პრეზიდენტს უარი არ უნდა უთხრას

შორენა გონგლაძე

ინტერვიუ პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერ გიორგი ლალიძესთან

– ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარ ფაქტს საკმაოდ მწვავე გამოხმაურება მოჰყვა საერთაშორისო დონეზე. რამდენად უარყოფითად აისახება ეს ყველაფერი ახალი ხელისუფლების იმიჯზე?

– ეს იყო მეტად სამწუხარო ფაქტი. პრაქტიკულად, საერთაშორისო არენაზე ნაციონალური მოძრაობა წარმოჩნდა, როგორც მსხვერპლი ხოლო, „ქართული ოცნება“ – როგორც მოძალადე ხელისუფლება. სიმართლე გითხრათ, ბოლო დროს განვითარებული პროცესების გამო ვარ ძალიან გაკვირვებული, ვინაიდან, თუ „ქართული ოცნება“ მიიჩნევს, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს საპრეზიდენტო ვადა ეწურებოდა იანვარში, მათ დაუყოვნებლივ უნდა დაეწყოთ პრეზიდენტის იმპიჩმენტის პროცედურები. თუ მათ ეს არ გააკეთეს, ბუნებრივია, ისინი სააკაშვილს მიიჩნევენ პრეზიდენტად და მის უფლებამოსილებას ცნობენ 2013 წლის ოქტომბრამდე. აქედან გამომდინარე, ყოვლად გაუგებარია, რატომ არ მისცეს პრეზიდენტ სააკაშვილს პარლამენტში სიტყვით გამოსვლის საშუალება, რასაც მოჰყვა ეროვნულ ბიბლიოთეკასთან განვითარებული მოვლენები, რაც უარყოფითად აისახება, საერთო ჯამში, ქვეყნის იმიჯზე. ახალმა ხელისუფლებამ უნდა მოახერხოს და, მოსწონს თუ არა ეს, უნდა ითანამშრომლოს უმცირესობასთან და პრეზიდენტ სააკაშვილთან, რაც მხოლოდ მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ინტერესებს წააადგება. სხვა შემთხვევაში, პრაქტიკულად, ჩვენ ვდგავართ სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზე, საიდანაც ერთი ნაბიჯია ანარქიასა და ქაოსამდე. მე მინდა მოვუწოდო ხელისუფლებასა და ნაციონალურ მოძრაობას, ნუ გადააყოლებენ პირად წყენასა და ამბიციებს ქვეყნის ინტერესებს და მათ დაუყოვნებლივ უნდა დაიწყონ მოლაპარაკებები ყველა სადავო საკითხთან დაკავშირებით. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, ქვეყანაში განვითარებულ პროცესებზე პასუხისმგებლობას თავს ვერ აარიდებენ. ამ შემთხვევაში ძირითადი პასუხისმგებლობა ეკისრება „ქართულ ოცნებას“, ვინაიდან, სწორედ ეს პოლიტიკური ძალაა ხელისუფლებაში.

– რამდენად მართებულია, როდესაც პრეზიდენტს ეუბნებიან უარს, პარლამენტში გამოვიდეს სიტყვით?

– მიმაჩნია, რომ ეს იყო დიდი შეცდომა, როდესაც მმართველმა ძალამ უარი უთხრა პრეზიდენტს პარლამენტში შესვლაზე. კიდევ ვიმეორებ, ეს ყველაფერი ძალიან ცუდად აისახება კოალიციის მომავალ მუშაობასა და იმიჯზე, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ.

– კოალიციაში არსებულ განხეთქილებაზე რას იტყვით?

– საზოგადოებისთვის ისედაც ცნობილი იყო, რომ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს ერთნაირი პოლიტიკური ხედვა არ გააჩნდათ მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით. აქარიან ძალები, რომლებიც მოიაზრებიან პროდასავლურ ძალებად და არიან პარტიები, რომლებსაც აქვთ განსხვავებული პოზიციები. რაც შეეხება ქვეყნის კონსტიტუციური წყობის მოდელს, ამ შემთხვევაშიც არ არის აზრთა სრული თანხვედრა, რაც, დამერწმუნეთ, სულ ახლო მომავალში დიდი განხეთქილების საფუძველი გახდება. პოლიტიკური ძალები გაერთიანდნენ საარჩევნოდ, რათა მიეღოთ ის შედეგი, რომელიც დღეს სახეზე გვაქვს და სულაც არ არის ჩემთვის ის პროცესები მოულოდნელი, რომლებიც დღეს ვითარდება. კოალიციის დაშლა სრულიად ბუნებრივი პროცესია. რაც შეეხება პარტია „ქართულ ოცნებას“, ის ცდილობს, რეგიონებში თავად მოიკიდოს ფეხი. სახეზეა კოალიციაში არსებული დაპირისპირება. მე არ გამოვრიცხავ იმასაც, რომ საქმე გვქონდეს გარკვეულ პროვოკაციულ ჯგუფებთანაც, მაგრამ, ფაქტია, რომ ბევრს, რომელთაც ძალიან დიდი წვლილი მიუძღვით კოალიციის ხელისუფლებაში მოსვლაში, მიაჩნიათ, რომ მათი ღვაწლი არ დაფასდა სათანადოდ და აქედან გამომდინარე წარმოიშვა გარკვეული უკმაყოფილება. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ საზოგადოების დაკვეთა იყო აბსოლუტურად სხვა რამ, თუმცა დღეს ხელისუფლებაში მოსვლიდან სამი თვის შემდეგაც კი ეს ადამიანები არიან დაპირისპირებისა და თანამდებობების გადანაწილების რეჟიმში და რაც შეეხება საზოგადოების კეთილდღეობას, ამისთვის არაფერი გაკეთებულა. მიმაჩნია, რომ დროა, ახალმა მთავრობამ იზრუნოს ხალხზე, გაამართლოს ხალხის ნდობა და იზრუნოს იმაზე, თუროგორ გამოიყვანოს ქვეყანა მძიმე ეკონომიკური კრიზისიდან, სხვა შემთხვევაში დრო მუშაობს ივანიშვილის საწინააღმდეგოდ და, ვფიქრობ, ისევე სწრაფად დაკარგავენ რეიტინგს, როგორც მოიპოვეს. საზოგადოებაში გარკვეული იმედგაცრუება უკვე შეინიშნება. ამ ყველაფერზე აქტიურად უნდა იზრუნოს ახალმა ხელისუფლებამ. ისინი მოვიდნენ ხალხის ნდობის მანდატით, რაც დიდი პასუხისმგებლობაა ხელისუფლების თითოეული წარმომადგენლისთვის. აქედან გამომდინარე, მე ვფიქრობ, რომ ურთიერთდაპირისპირებასა და ქიშპობაში დასაკარგი დრო ნამდვილად არ აქვთ და დროა, საქმის გაკეთებაზე რეალურად იზრუნონ.

– ივანი შვილისთვის ალასანიას საპრეზიდენტო ამბიციები სიურპრიზი აღმოჩნდა, თუმცა ეს ყველაფერი ივანი შვილის პოლიტიკაში გამოჩენამდე გაცილებით დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი.

– მიმაჩნია, რომ ივანი შვილი იმყარებს საკუთარ პოზიციებს, უნდა, რომ ქვეყანაში პრემიერის ინსტიტუტი იყოს ძლიერი და, თუ ჩვენ ვიქნებით ნახევრად საპარლამენტო მოდელზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში ბევრი რამ დადებითისკენ შეიცვლება. სწორედ ამიტომ აღმოჩნდა ივანი შვილისთვის ალასანიას პოზიცია მიუღებელი, რაც დამთავრდა ალასანიას ვიცეპრემიერის პოსტის დაკარგვით. თუმცა, მე ვფიქრობ, ეს ყველაფერი დიდი პოლიტიკის თანმდევი პროცესია და, იმედია, უახლოეს მომავალში პოლიტიკური სიტუაცია დაწყნარდება.

რა უნდა გააკეთოს ივანიშვილის მთავრობამ?

როლანდ ხოჯანაშვილი

„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

გასაკეთებელი ძალიან ბევრია. ეს თავისთავად იცოდა ,,ქართულმა ოცნებამ“, როცა მოდიოდა პოლიტიკაში. ისეთ დიდ პრობლემას, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა ჰქვია, ადვილად ვერ მოგვარდება (მოგვარდება კი საერთოდ?!) და ამიტომ პირველი, რაც უნდა გაითვალისწინოს ივანიშვილის მთავრობამ, ისაა, რომ რეალურად შეხედოს საპრეზიდენტო ინსტიტუციას. კოჰაბიტაცია, რომელიც ახლა ძალიან პოპულარული სიტყვაა და ლამის იარაღად იქცა ,,ნაციონალური მოძრაობის“ ხელში, ფაქტია, რომ არ შედგა. 9-10 თვე კიდევ ვიქნები პრეზიდენტიო, განაცხადა კახეთში პრეზიდენტმა სააკაშვილმა და ეს საკმაოდ ძლიერი მესიჯია ქართველი საზოგადოებისაკენ, უფრო ძლიერი კიდევ–,,ქართული ოცნებისაკენ“. ჩემი აზრით, ამით მ. სააკაშვილმა თქვა, რომ ,,ქართული ოცნებისა“ და ახალი მთავრობის დისკრედიტაციას შეეცდება, ამავდროულად დასავლეთის თვალში რეიტინგის დაცემის პროცესსაც განუხრელად გააგრძელებს. იდეურ დონეზე ბრძოლა თუ მოიგო სააკაშვილმა, მაშინ ივანიშვილის რეიტინგის დაცემა დემოკრატიული დასავლეთის თვალში იქნება ,,ნაციონალური მოძრაობის“ სერიოზული გამარჯვება. რევერანსული მიმართება ევროპისა და ამერიკისადმი ,,ოცნების“ ლიდერებმა დაიწყეს, დელიკატური პასაჟები ,,ნაციონალებისათვის“: მესხის, მამალაძისა და სხვა ,,ერთობ მოძალადე“ ადამიანებისადმი სამართლოს გამოაქვს ას და ორიათასლარიანი სახდელები, ხოლო იმ ადამიანებისადმი არაფერი, ვისაც მთელი ცხოვრება თუ არა, წინასაარჩევნო პერიოდი ძალადობაზე ჰქონდა დაფუძნებული. ბატონი ღარიბაშვილის უწყება ალბათ ზუგდიდის სოფელ ნარაზენში კვერცხის გამსროლელ ქალბატონს სამართლებრივ დევნას დაუწყებს, მინიმუმ 100 ლარიანი სახდელს მოითხოვს პროკურატურა და კუბლაშვილის ჯიბის მოსამართლეთაგანი კაპიკსაც არ დააკლებს, რადგან გინდა მილიონს დაკლებია ეგა და გინდაც ას ლარს, სრული თანხა აღარ არის! შსს-მ ბიბლიოთეკის წინ მომხდარი ექსცესების გამო ვიდეომასალების საფუძვლზე დააკავა ვაჩნაძე, მესხი და კიდევ ჩიორა თაქთაქი შვილსა და სერგო რატიანზე ფიზიკური მოძალადეებიც. გიხაროდენ! რას იტყვის დასავლეთი თუ არ დაისაჯა ეს ხალხი! მართალია, მოძალადე უნდა დაისაჯოს, მაგრამ არ მგონია, რომ რომელიმე ნაციონალს ეთხოვოს ამ პირების დასჯა ბატონი ღარიბაშვილისთვის. თუ ვიდეომასალა კმარა პროკურატურისათვის, მაშინ გაიხსენონ 1 ოქტომბრამდე რამდენი მასალა არსებობს ნაცელიტისაგან ხალხის ფიზიკური შეურაცხყოფის. ქვასროლია რწმუნებულებიდან დაწყებული მუშტიკრივის ოსტატებით დასრულებული რამდენი მოძალადე გვახსოვს ქართველებს? იქნებ ამ სტატიის წაკითხვის მერე რომელიმე პროკურორი ან შსს-ს მაღალჩინოსანი დაინტერესდეს ამ საკითხით და ვირის აბანოსკენ მიუთითოს არა მარტო ,,ოცნებელ მოძალადეებს“, არამედ ნაცმოძალადეებსაც. ახლა სასაცილოდ არ მყოფნის ჭიათურის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მიერ ღიპით ჩემი შეკრების ადგილიდან გამოგდების ფაქტი, მაგრამ მაინცდამაინც ცხვირიდან უნდა წამომსვლოდა სისხლი? თუ ჩიორას სისხლია ერთობ სამართლებრივად ღირებული და ჩემი სისხლისდენა მაინც არ იქნებოდა მხედველობაში მიღებული? მე ასე მითხრეს მაშინ, ცხვირს ნუ ყოფ იქ, სადაც არ ეგებისო (ჭიათურის ნაცმო იმიტომ გადამეკიდა, რომ ,,ჰუმანიტარული“ ტვირთის პოლიტიკური ნიშნით დარიგებას ვაპროტესტებდი). თუ ეს ცხვირის არჩაყოფა მაშინ იყო მისაღები, ქალბატონ ჩიორასაც არ ჰქონოდა ცხვირი იქ, სადაც მამალაძის მუშტის მოქნევის ტრაექტორია მოიხაზა. აქვე შევახსენებ მათ უზენაესობა სასამართლოს, რომ კონსტიტუციის ეს მუხლი კარგად უნდა ახსოვდეთ მოსამართლეებს:

მუხლი 82

1.სასამართლო ხელისუფლება ხორციელდება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით.

2. სასამართლოს აქტები სავალდებულოა ყველა სახელმწიფო ორგანოსა და პირისათვის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე.

3. სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები.

4. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოს სახელით.

თუ ,,ოცნებაში“ სულის ამოხდომა არ უნდათ მოსახლეობისათვის, მაშინ შერჩევითი და დასავლეთისათვის რევერანსული სამართალი უნდა მოისპოს. ისე, თამარის დროსაც ან უხებდათ ალბათ ,,მართალი სამართალის“ საკითხი, თორემ არ იტყოდა რუსთველი ,,ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“. სამართლიანობის დამკვიდრების გამო მიცვივდა ელექტორატი 1 ოქტომბერს საარჩევნო უბნებზე და ამის იგნორირება ან დაგვიანება ძალიან სტკენს გულს ადამიანებს.

გასაგებია, რომ 20 ათასი საქმეა შესული პროკურატურაში. ყველაფერს ერთბაშად, 9 წლის დანაშაულს, ვერ გამოიძიებს პროკურატურა (მით უფრო, რომ ბევრგან ისევ ადეიშვილის ,,ბიჭები“ პროკურორობენ), მაგრამ სამართლებრივი მხარის დაჩქარებულად მოწესრიგება ძალიან საჭიროა. ყველა მინისტრი თავის სფეროში უნდა ცდილობდეს, რომ არ მოხდეს ინერციით დანაშაულებრივი ქმედებების გაგრძელება. აი, თუნდაც მშობლიურ იმერეთში ტყეების ვანდალურ გაჩეხვაზე ცაგარეიშვილი მძაფრ განცხადებებს აკეთებს, ენერგეტიკა-ბუნებრივი რესურსების და გარემოს დაცვის სამინისტროებს კი ,,დელიკატურობიდან“ გამომდინარე არ უნდა რომ გადახედოს არსებულ სიტუაციას?

იმდენი ვწერე და ვიხმაურე, რომ ახალი ხელისუფლების ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტს 70 ათასლარიანი ჯარიმა გამოვაწერინე პაატა ტრაპაიძის ,,ვუდ ექსპორტისათვის“, მაგრამ ამ ჯარიმის დაკისრების შემდეგ ,,ვუდი“ ისევ ეპიზოდურად ღამღამობით აგზავნის ტყეში წაბლნარების საჭრელად მუშებს და მოჭრილის დაკავების უფლება არ აქვს მოსახლეობას. ისე, ახლა კი იპოვეს კარგი გადაწყვეტილება მოსახლეობამ და თქვეს, რომ რამდენ მოჭრილ ხესაც იპოვნიან ტყეში, ისე დააქუცმაცებენ, რომ ტრაპაიძე კი არა, კბილის გამომჩხრეკავიც ვერ ისარგებლებსო, თუმცა ამით ბუნების დაცვა ვერ მოხდება. ვნახოთ, რას იზამს მოკლე ხანში ბუნებრივი რესურსების დეპარტამენტი, მისცემს ისევ დაჯარიმებულ კომპანიას წარმოების უფლებას თუ თავზე დაახევს იმ ლიცენზიას, რომლის თითქმის ყველა პუნქტის დარღვევითაც მუშაობს დიდად ,,სანიტარულად“ მომუშავე ორგანიზაცია!

მახსენდება პატრულზე თქმული ანეკდოტი, პატრულის შეგინება ისჯება და წყევლა არაო (კორექტულობის გამო ანეკდოტს აქ ვერ დავწერ), ასე რომ მხოლოდ წყევლა-კრულვა დაგვრჩა იარაღად ბუნების დამცველებს; უკაცრავად, კიდევ დაგვრჩება ნახერხი, კუნძები და გულის ხეთქვა!

ოქტომბრამდე სააკაშვილი არ მოგცემთ საშველს, მერე სხვა რამე გამოხტება და ეს ცხოვრება ჩიტივით გაფრინდება! სისტემურად და გათვლილად უნდა იმუშაოთ, ბატონო მთავრობავ, თორემ მოსახლეობამ შიშველი ხელებით ჭინჭარი იმიტომ კი არ დაგლიჯა, რომ კარგი ხელფასი დაგნიშნოდათ და წითელი კვერცხი გეგორებინათ ,,ნაციონალებისათვის“. დამნაშავე უნდა წავიდეს იქ, სადაც არაერთი უდანაშაულო შეაგდეს წინა მთავრობის წარმოადგენლებმა. კიდევ კარგი, რომ ახლა ცოცხი მაინც არ ელოდებათ დამნაშავეებს და ჩაკეტილ წრეზე არ გვატარებს სუბარი. ხადურმაც ძალიან ივაჟკაცა და ალასანიამაც კარგად გაუძლო გასაძლებს, განათლებაც კმაყოფილების ნირვანაში მიდის, სამართალსა და ბუნების დაცვას კი აგვიანდება.

ყველა გონიერი ადამიანი გეგმავს მომავალს, მომავალი კი სამართლის და ბუნების გარეშე არ არსებობს, გახსოვდეთ!

მოქალაქე - სალომე დევიძეს
პ/ნ - 01026012758

როგორც მოგეხსენებათ სს “ბითიეი ბანკთან” გაფორმებული გაქვთ ხელშეკრულებები:

გენერალური საკრედიტო ხელშეკრულება	709690001
საკრედიტო ხელშეკრულება	706960001-1
გირავნობის ხელშეკრულება	709690001-ა

თქვენს მიერ დარღვეულ იქნა საკრედიტო ხელშეკრულება და სესხის დაფარვის გრაფიკი, შესაბამისად გეძლევათ წინადადება წინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის განმავლობაში შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულება, დაფაროთ მიმდინარე დავალიანება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 281-ე მუხლის პირველი ნაწილისა და ჩვენს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, იმავე ვადაში პირდაპირ მფლობელობაში გადასცეთ ბანკს მის სასარგებლოდ, ზემოთ მითითებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, დაგირავებული ავტომობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბანკი იტოვებს უფლებამოსილებას, შეწყვიტოს თქვენთან როგორც არაკეთილსინდისიერ გადამხდელთან, გაფორმებული ზემოთ მითითებული ხელშეკრულებები და კანონმდებლობით დადგენილ შესაბამის ორგანოს სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს, მოსთხოვოს გირავნობის მოწმობის გაცემა. ხოლო, ვინაიდან გირავნობის მოწმობა არის აღსრულების ქვემდებარე აქტი, მისი აღების შემდეგ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს გირავნობით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების მიზნით მის მფლობელობაში გადაცემა. რის შემდეგაც მოხდება ავტომობილის ბანკის საკუთრებაში გადაფორმება, ანდა მისი რეალიზაცია (გადაფორმება) მესამე პირზე (მყიდველზე) ბანკს და მესამე პირს (მყიდველს) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად.

დაგირავებული ავტომობილის მოგირავნის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემის ან/და დაგირავებული ავტომობილის პირდაპირ მფლობელობაში არსებეობის შემთხვევაში,თუწინამდებარე წერილის მიღებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში თქვენს მიერ დაფარული არ იქნება ბანკის მიმართ არსებული დავალიანება, მოქმედი კანონმდებლობისა და ჩვენს შორის გაფორმებული გირავნობის ხელშეკრულების შესაბამისად, ბანკი წარადგენს შესაბამის მოთხოვნას სსიპ- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში, ბანკის მიმართ არსებული დავალიანების სანაცვლოდ, დაგირავებული ავტომობილის მის საკუთრებაში გადაფორმების ანდა მესამე პირზე (მყიდველი) ბანკს და მესამე პირს (მყიდველი) შორის შეთანხმებული ღირებულების შესაბამისად, გადაცემის (გადაფორმების)შესახებ.

პატივისცემით,
სს “ბითიეი ბანკი”

საქართველოს სამი ოპერის თეატრი საარემაას ოპერის ფესტივალზეა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს 2013 წლის ივლისში, ესტონეთში, კუნძულ საარემაას ოპერის დღეებში ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის, ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრისა და ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერის თეატრის მონაწილეობას.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მმართველმა გიორგი ჟორდანიამ და ფესტივალის ორგანიზატორი კომპანიის, ესტონეთის სახელმწიფო საკონცერტო ორგანიზაციის „ეესტი კონტსერტის“ დირექტორმა იური ლეიტენმა. ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიალს ესწრებოდნენ კულტურის მინისტრის მოადგილე მარინა მიზანდარი, საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი.

ოპერის ფესტივალი საარემაას კუნძულზე პირველად 1999 წელს გაიმართა. წლების განმავლობაში ფესტივალი პარტნიორობს მსოფლიოში ცნობილ ოპერის თეატრებთან, მასში მონაწილეობას იღებენ სახელგანთქმული სოლისტები და დირიჟორები. ყოველწლიურად ღონისძიების სტუმართა რიცხვი იზრდება, გასულ ზაფხულს ფესტივალმა 12.000 სტუმარს უმასპინძლა. 2008 წლიდან ფესტივალის ორგანიზატორია ესტონეთის სახელმწიფო საკონცერტო ორგანიზაცია „ეესტი კონტსერტ“.

ქართული საოპერო და საბალეტო თეატრების ისტორიაში პირველად, ქართული თეატრები მონაწილეობას მიიღებენ ამ საკმაოდ პრესტიჟულ ფესტივალში და საქართველო წელს წარმოდგენილი იქნება არა ერთი, არამედ სამი თეატრით.

ფესტივალის განრიგი უკვე შედგენილია. საფესტივალო დღეები 21 ივლისს გაიხსნება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ქართველი და ესტონელი შემსრულებლები. 22 ივლისს ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრი წარმოადგენს ოპერას „ლუჩია დი ლამერმური“, 23 ივლისს ქუთაისის ბალანჩივაძის სახელობის სახემწიფო თეატრი ვერდის „რიგოელეტოს“ გაითამაშებს, 24 ივლისს მსმენელის წინაშე კვლავ ქუთაისის ბალანჩივაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი წარსდგება და პუჩინის „მადამ ბატერფლაის“ შეასრულებს, 25 ივლისს ფესტივალში ჩაერთვება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ვერდის ოპერით „ატილა“, 26 ივლისს ფესტივალზე წარმოდგენილი იქნება ესტონეთის ეროვნული მამაკაცთა გუნდი, სოლისტები და ანსამბლი, ამავე დღეს ფესტივალზე დამსწრე საზოგადოების წინაშე წარსდგება ნინო ანანიაშვილის საბალეტო დასი ერთაქტიანი ბალეტებით. 27 ივლისს გაიმართება კონცერტი „ვაგნერი და ვერდი 200“, რომელშიც მსმენელისთვის იმღერებს ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ორკესტრი, გუნდი და სოლისტები, ასევე მოწვეული სოლისტები ამერიკის შეერთებული შტატებიდან, შვეციიდან და ფინეთიდან. ფესტივალი 28 ივლისს ესტონეთის ეროვნული მამაკაცთა ანსამბლის და ესტონეთის ოპერისა და ბალეტის თეატრის ბრას-ანსამბლის ერთობლივი კონცერტით დაგვირგვინდება.

მოზარდმაყურებელთა თეატრში პრემიერაა

ეკა ირემაშვილი

მას შემდეგ, ჰაც თბილისის ნოდარ დუმბაძის სახელობის სახელმწიფო ცენტრალურ საბავშვო თეატრში ცვლილებები განხორციელდა და თეატრის მმართველი მიხეილ ანთაძე ხელისუფლებამ დიმიტრი ხვთისიაშვილმა შეცვალა, დასი ორი პრემიერისთვის ემზადება.

როგორც თეატრის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელმა სალომე კალაძემ განაცხადა:

– მოზარდმაყურებელთა თეატრში ამ კვირაში ორი პრემიერა იგეგმება. 14-15 თებერვალს წარმოადგენილი იქნება თოჯინური სპექტაკლი „მზის სხივი“. სპექტაკლი დადგმულია ანრი პოპესკუს პიესის მიხედვით. ეს არის სპექტაკლი ბალერინასა და წრუწუნას სიყვარულის შესახებ. ამბავი შესანიშნავად აქვს გადმოცემული თითების თეატრის დამაარსებელს ბესო კუპრეიშვილს. მხატვარია ვახტანგ ქორიძე, ქორეოგრაფი – გია მარღანია, მუსიკალური გაფორმება ზურა გაგლოშვილს ეკუთვნის. სპექტაკლში მონაწილეობენ მაია მალხაზიშვილი, მალხაზ გაბუნია, ვამეხ ჯანგიძე, მაია სულხანიშვილი, ელენე მაცხონაშვილი, ნინო პაპიაშვილი და ზვიად გაგლოშვილი. რაც შეეხება მეორე პრემიერას, ახალი სპექტაკლი 16 და 17 თებერვალს იქნება წარმოდგენილი. ეს არის სპექტაკლი „სათაგური“, რომელიც დადგმულია ვაჟა-ფშაველას მოთხრობების მიხედვით. დამდგმელი რეჟისორი არის ოთარ ბაღათურია, სცენოგრაფია – აივენგო ჭელიძეს ეკუთვნის, კოსტუმების მხატვარია ნინო ჩიტაიშვილი, კომპოზიტორი – მიხეილ ზაქარიაშვილი, ქორეოგრაფი – გიორგი მარღანია, ტექნიკური რეჟისორი – თამაზ ქარაული. მეორე სპექტაკლში 13 მსახიობი მონაწილეობს.

თეატრის ახალმა მმართველმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა განაცხადა, რომ პრემიერას შალვა გაწერელიას წლისთავამდე განახორციელებდნენ. ქართული თეატრალური რეჟისორის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი შალვა გაწერელია შარშან 81 წლის ასაკში აპრილის თვეში გარდაიცვალა. თეატრის ახალმა მმართველმა თავისი სიტყვა შეასრულა და აპირლამდე თეატრში ორი სპექტაკლის პრემიერა წარმოადგინა.

ოთარ თათარაშვილი სიყვარულის დღეს იმღერებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დავით ოქიტაშვილი, კონცერტის ორგანიზატორი:

– თემური თბილისში სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოდის. 14 თებერვალს დაგეგმილი კონცერტი სიყვარულის დღეს ეძღვნება და მისი რეპერტუარიც სასიყვარულო სიმღერებით იქნება აგებული. საბედნიეროდ, თემურს ბევრი სიმღერა აქვს სიყვარულზე და ამიტომ ის საუკეთესო მუსიკალურ კომპოზიციებს წარმოადგენს.

– მის გარდა ვინ იმღერებს ამ კონცერტზე?

– იანიადნა სიყვარულის დღეს ეძღვნება კონცერტი, მისი მეგობრებიც იმღერებენ. თემური იმიტომ არ ამბობს წინასწარ მათ ვინაობას, რომ შეიძლება ვიღაც ისეთი მივიდეს, ვინც ჩამონათვალში გამორჩება, ამიტომ მეგობრების ვინაობას ის სიურპრიზად ტოვებს.

– მხოლოდ ქართველი მომღერლები იქნებიან ამ კონცერტში თუ მოსკოვიდანაც ჩამოყვებიან კოლეგები?

– მხოლოდ ერთი მომღერალი ჩამოვა მოსკოვიდან და ისიც ქართველია. ლიკა დოლიძე თემურისთან ერთად გამოვა ამ კონცერტზე.

– კლუბური კონცერტი იქნება?

– რა თქმა უნდა, განსხვავებული კონცერტი იქნება, ბევრი კარგი სიმღერა აქვს თემურს. მისი კონცერტის მერე, რომელიც ფილარმონიაში ჩატარდა, ბევრმა გამოთქვა მისი მოსმენის სურვილი, ამიტომ ის ისევ ჩამოვიდა და ჩვენთან არის. ფილარმონიაში მაინც კლასიკური კონცერტი იყო, აქ კი უშუალო კონტაქტი იქნება მაყურებელთან. ის არავის დაზარდება და კონცერტზე ყველა საყვარელ სიმღერას შეასრულებს.

– ძვირი ღირს ბილეთი?

– 40 ლარი.

– თემური თბილისში სპეციალურად სიყვარულის დღისთვის ჩამოვიდა?

– კი, სპეციალურად 14 თებერვლისთვის მოვიწვიეთ თემური თბილისში მე და თაკო დოლაბერიძემ.

– როდის წავა მოსკოვში?

– 15 თებერვალს ღამით თემური ისევ მოსკოვში გაფრინდება.

აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობა ხელოვნების მუზეუმშია

ეკა ირემაშვილი

15 თებერვალს საქართველოს ეროვნული მუზეუმის შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩებისა და აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობის ამსახველი ნივთების გამოფენა გაიხსნება.

როგორც ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი აღნიშნავს, ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება აზერბაიჯანული ხელოვნების მიერ შექმნილი ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები. აგრეთვე, ნაციონალური საკრავები, სპილენძისა და კერამიკის ჭურჭელი, ხელით ნაქსოვი ხალიჩები, ფარდაგები და სხვა. ღონისძიების ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, მირზა ფათალი ახუნდოვის აზერბაიჯანული კულტურის მუზეუმი და მუზეუმთან არსებული კულტურის ცენტრი.

გამოფენა 2013 წლის 5 მარტამდე გაგრძელდება.

ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.



საბანკო რეკვიზიტები:
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის“ ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000

თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

განცხადებები

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● მოვამზადებ ინგლისურში სკოლის მოსწავლეებს, ვარკეთილის მიმდებარე ტერიტორიაზე. ტელ: 595-471-479.

● **კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს.** სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაბრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● ქირავდება ვაკის პარკთან მე-3(5) სართულზე,3-ოთახიანი გარემონტებული ბინა, მოწესრიგებული სადარბაზო, საკაბელო, ინტერნეტი, 2 ტელეფონი, 2 კარმა, იტალიური სანტექნიკით, სარეცხი მანქანით, ბოშის დიდი მაცივრით გადიდებულ სამზარეულოში, კონდენციონერით, 2 აივნით, ლოჯიით, 115 კვ.მ. თამარაშვილის 5, გამოდგება საოფისედაც. ფასი 680 დოლარი, ტელ: 577-402-407.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგი. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგი. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგი. ტელ: 234-02-38; 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

სჯუმპარითა ღლე

ვალენსია-პსჟ 1:2

0:1 ლავესი (10), 0:2 პასტორე (43), 1:2 რამი (90)

ვალენსია: გუაიტა, პერეირა, რამი, კოშტა, გუარდადო, ფეგული (ვიერა 84), ბანეგა (კანალესი 46), პარეხო, კოსტა, ხონასი (ვალდესი 46), სოლდადო

პსჟ: სირიგუ, ჟალე, ალექსი, საკო, მაქსველი, მოურა (შანტომი 53), მატუიდი, ვერატი, პასტორე (არმანი 88), იბრაჰიმოვიჩი, ლავესი (მენესი 76)

ფრანგებმა პირველი წუთებიდანვე დაამტკიცეს ფავორიტის სტატუსი. ისინი ძალიან დამაჯერებლად მოქმედებდნენ და გასაკვირიც არ იყო, რომ უკვე მე-10 წუთზე ანგარიში გახსნეს. ამის შემდეგ ცდილობდა „ვალენსია“ გაემწვავებინა თამაში, მაგრამ მათ ფლანგურ შეტევებს დამაჯერებლობა აკლდა.

ერნესტო ვალვერდემ შესვენებაზე სცადა სიტუაციის გამოსწორება და ცვლილებებს მიმართა. ამან „ღამურების“ შეტევები ოდნავ შეცვალა. სირიგუს კართანაც იმატა სახიფათო მომენტებმა, მაგრამ გოლი არა და არ გადიოდა. დასკვნით ნაწილში პსჟ-მ რამდენიმე მომენტი გაანიავა და ბოლო წუთზე მეტოქეს ანგარიშის შემცირების საშუალებაც მისცეს.

გოლები კი ასე გავიდა: მე-10 წუთზე, ლავესიმ პასტორესთან ორსვლიანი კომბინაცია გაითამაშა, საჯარიმოს წინა ხაზთან ერთი მეტოქე მოატყუა და ძლიერი დარტყმით ანგარიში გახსნა. აქვე, „ვალენსიას“ მეკარის შეცდომაზეც უნდა ვთქვათ. ვისენტე გუაიტამ პირდაპირ მისი მიმართულებით წასული ბურთი ვერ მოიგერია.

მიმდინარეობდა 43-ე წუთი, როდესაც ლუკას მოურამ მარჯვენა ფლანგზე ძალიან კარგად ითამაშა და კარის წინ მყოფ პასტორეს უპასა. კიდევ ერთი არგენტინელის დარტყმის შემდეგ, ბურთი კვლავ გუაიტას მიმართულებით წავიდა, მაგრამ გოლი ამჯერადაც გავიდა.

90-ე წუთზე, ტინო კოსტამ სტანდარტიდან ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, უმეთვალყურეოდ დატოვებულმა ადილ რამიმ ზუსტად დაარტყა და ერთი ბურთი გაქვითა.

„ვალენსიას“ გოლიდან ერთ წუთში, იბრაჰიმოვიჩმა შეგვახსენა, რომ თამაშში მონაწილეობას ისიც ღებულობდა. მეტოქის საჯარიმოს სიახლოვეს, შვედმა ერთი ვალენსიელის წინააღმდეგ თამაშის წესები დაარღვია, რასაც მეორეს მიმართ საკმაოდ სახიფათო თამაში მოაყოლა. არბიტრს ბევრი არ უფიქრია – ზლატანს წითელი ბარათი უჩვენა. ვალენსიაში გამართული თამაშის შემდეგ, იბრაჰიმოვიჩი გახდა მე-2 ფეხბურთელი, რომელსაც ჩემპიონთა ლიგაზე წითელი ბარათი 3 სხვადასხვა კლუბის მაისურით თამაშისას მისცეს. პირველი ასეთი ფეხბურთელი პატრიკ ვიეირაა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ხავიერ პასტორე

ძირითად შემადგენლობაში მოხვედრილმა არგენტინელმა ნახევარმცველმა თავი საუკეთესო თვისებებით წარმოაჩინა. ფრანგების მიერ გატანილი ორივე გოლი მისი დამსახურებაა. ჯერ თანამემამულე ეზეკიელ ლავეცის გაუკეთა იდეალური პასი, შემდეგ კი, თავადაც გაიტანა. უმეტეს შემთხვევაში ფრანგები მისგან იწყებდნენ შეტევებს, დაცვაშიც უამრავი შავი სამუშაო გასწია. საბოლოოდ მისი მაჩვენებელი გარბენის მხრივ 11 კილომეტრზე მეტი გამოდგა.

სელტიკი-იუვენტუსი 0:3

0:1 მატრი (3), 0:2 მარკიზიო (77), 0:3 ვუჩინიჩი (83)

სელტიკი: ფორსტერი, ლუსტიგი (მეტიუზი 58), უილსონი, ამბროზე, იზაგირე, მალგრიუ, ბრაუნი (კაიალი 80), ვანიამა, ფორესტი, კომონსი (უატი 73), ჰუპერი

იუვენტუსი: ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი, კასერესი, ლიხტშტაინერი, ვიდალი, პირლო, მარკიზიო, პელუზო (პადოინი 69), მატრი (პოგბა 81), ვუჩინიჩი (ანელკა 86)

ყველა ელოდა, რომ „იუვენტუსი“ შოტლანდიურ გუნდს გასცდებოდა, მაგრამ თუ ასე იოლად მოხდებოდა ყველაფერი, ბევრი არ ფიქრობდა. შოტლანდიელებს ბოლო წუთებში ჩაეძინათ. მანამდე კი მომენტებიც ბლომად ჰქონდათ, განსაკუთრებით – პირველ ტაიმში.

„ბებერი ქალბატონი“ ისე მრისხანედ არ გამოიყურებოდა, როგორც სჩვევია, მაგრამ მეტოქეს სამი უპასუხო გოლი მისსავე სტადიონზე მაინც გაუტანა. ეს კი ძალიან ბევრია და ოპონენტი უშანსოდ დატოვა.

თუმცა, ეს „იუვეს“, რომელიც ჩემპიონთა ლიგაზე წელს უფრო უკეთ გამოიყურება, ვიდრე ბოლო წლებში. მარკიზიო-მატრი-ვუჩინიჩი კი პირდაპირ კლავენ მეტოქეებს, გუნდი დაცვაშიც მშვენივრად გამოიყურება და სპეციალისტებმა უკვე მიიჩნიეს ტიტულის ერთ-ერთ ფავორიტად.

„სელტიკ პარკზე“ გამართული თამაში 3 წუთის დაწყებული იყო, როდესაც პელუზოს გადაცემისა და ამბროზეს შეცდომის შემდეგ მეკარესთან პირისპირ გასულმა მატრიმ ზუსტად დაარტყა და ანგარიში გახსნა. აღსანიშნავია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე, „იუვენტუსს“ არასდროს წაუგია ის მატჩი, რომლის შესვენებაზეც ტურინელები იგებდნენ და გამონაკლისი არც ეს შეხვედრაა.

„იუვეს“ მე-2 გოლი ძალიან ლამაზი გამოდგა. პადოინის გადაცემის შემდეგ, მატრიმ მარკიზიოს ერთი შეხებით მისცა პასი, რომელმაც ცრუ მოძრაობით, ერთი მეტოქე მოატყუა და სტუმართა უპირატესობას სოლიდური სახე მისცა.

პირველის მსგავსად, მე-3 გოლიც ამბროზეს სინდისზეა. საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს, ნიგერიელმა მცველმა ბურთი მარკიზიოს ჩააბარა, ხოლო „იუვეს“ მე-8 ნომრის პასით მეკარესთან პირისპირ გასულმა ვუჩინიჩმა ზუსტად დაარტყა. ჩერნოგორიელი შემტევის ზუსტი დარტყმის შემდეგ, „იუვენტუსს“ ევროტურნირებზე 700 გოლი დაუგროვდა და „ბებერი ქალბატონი“ პირველი იტალიური გუნდი გახდა, რომელმაც ამ ნიშნულს მიაღწია.

გლაზგოში გამართული შეხვედრის მიწურულს ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა – შეცვლაზე შესული ნიკოლა ანელკა გახდა მე-2 ფეხბურთელი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე 6 გუნდის მაისურით ითამაშა. პირველი ზლატან იბრაჰიმოვიჩია, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ექვსივე გუნდის შემადგენლობაში გაიტანა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – კლაუდიო მარკიზიო

მოედნის ცენტრში ანდრეა პირლოსთან ერთად საუკეთესო იყო, მაგრამ მის უფროს თანაგუნდელთან შედარებით გოლი და საგოლე პასი მოინაგრა. ინდივიდუალურად დაჩაგრა ოპონენტები და გუნდური თამაშითაც გამოირჩა.

სამინისტროში სამი თვე შეაჯამეს

12 თებერვალს, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი და მისი მოადგილეები ზურაბ აზმაიფარაშვილი, თამაზ თევზაძე და რატი ბრეგაძე სამინისტროში ჟურნალისტებს შეხვდნენ. მინისტრმა და მოადგილეებმა სამინისტროს სამთვიანი მუშაობის ანგარიში წარადგინეს და ჟურნალისტების კითხვებს უპასუხეს.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულებიდან გამომდინარე, სამთვიანი საქმიანობის მოკლე ანგარიში წარადგინა.

ბოლო სამი თვის განმავლობაში სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამართა ინდივიდუალური შეხვედრები ფედერაციის ხელმძღვანელ პირებთან. გამოიკვეთა არსებული პრობლემები, დაიგეგმა სამინისტროსა და ფედერაციების მომავალი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, კერძოდ:

1. ოლიმპიური მოძრაობის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა;
2. ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი „თბილისი – 2015“;
3. ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა;
4. კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა;
5. რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა;
6. სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამა; საქართველოს რეგიონებში ბავშვთა და მოზარდთა მასობრივი სპორტის განვითარების პროგრამა;
7. სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამა;
8. ვეტერან სპორტსმენთა და სპორტის მუშაკთა სოციალური დახმარების პროგრამა;
9. საქართველოს ეროვნული, ოლიმპიური და ასაკობრივი ნაკრების წევრთა, მწვრთნელთა, ადმინისტრაციული და საექიმო პერსონალისა და პერსპექტიულ სპორტსმენთა სტიპენდიების პროგრამა;
10. ოლიმპიურ ჩემპიონების სტიპენდიების პროგრამა.

სამინისტრომ ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად დაისახა სპორტსმენთა მომზადების ორგანიზებული და მეთოდური ხელშეწყობა, ამ მიზნით იგეგმება სპორტის აკადემიის აღდგენა.

სპორტის სფეროს ძირითადი მიმართულებების განვითარებისა და რჩევების მიღებისათვის შეიქმნა „მრჩეველთა საბჭო“, რომელიც დაკომპლექტებულია სპორტის სფეროს ღვაწლმოსილი წარმომადგენლებით.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ევროპის ჩემპიონთა ლიგა

ვალენსია-პსჟ 1:2
სელტიკი-იუვენტუსი 0:3

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბრაიტონი-ბლეკბერნი 1:1
მიდლსბრო-ლიდსი 1:0
ჰალი-დერბი 2:1

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

სედანი-დიჟონი 0:1

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ნბა. აღმოსავლეთი სეზონი

ტორონტო-დენვერი 109:109
მაიამი-პორტლენდი 117:104
მემფისი-საკრამენტო 108:101
იუტა-ოკლაჰომა 109:94
ლეიკერსი-ფინიქსი 91:85
გოლდენ სტეიტი-ჰიუსტონი . 107:116

ᲠᲒᲑᲘᲡᲣᲠᲗᲘ

ატპ. სან ხოსე

ჰარისონი-ბეკერი 7:6;5:7;3:6
მატოსევიჩი-სოკი 7:6;6:1
ისტომინი-სვიტინგი 6:3;6:4
ვერდასკო-სმიჩეკი 3:6;3:6

ვტა. დოჰა

შარაპოვა-გარსია 6:3;6:2
უილიამსი!ს.-გავრილოვა 6:2;6:1
ბარტელი-კერბერი 6:1;6:2

ᲰᲝᲙᲔᲘ

ნჰლ. აღმოსავლეთი სეზონი

ნიუ ჯერსი-კაროლინა 2:4
ოტავა-ბუფალო 2:0
ტამპა ბეი-მონრეალი ..... 3:3(0:1ბ)
ფლორიდა-ვაშინგტონი ..... 5:6(ოტ)
ბოსტონი-რეინჯერსი ..... 3:3(0:1ბ)
ვინიპეგი-ფილადელფია 2:3
ნეშვილი-სან ხოსე ..... 1:0(ოტ)
ჩიკაგო-ანაჰაიმი ..... 2:2(0:1ბ)
ედმონტონი-დალასი 1:4
ვანკუვერი-მინესოტა 2:1

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ახალი პარტნიორი ჰყავს

„მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონის მედია-ცენტრში სფფ-სა და იტალიურ კომპანია „ვისკაუტს“ შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. სფფ-ს ახალი პარტნიორი საფეხბურთო-კომპიუტერული პროგრამის ავტორია, რომლითაც მსოფლიოს წამყვანი საფეხბურთო კლუბებისა და ფეხბურთის ფედერაციების თითქმის 80 პროცენტი სარგებლობს. ეს უნიკალური პროგრამა მსოფლიოს მასშტაბით ყველა ფეხბურთელის სტატისტიკურ მონაცემებს შეიცავს და ვრცელი ვიდეობაზა გააჩნია. კომპანიის წარმომადგენლებმა პირველი პრეზენტაცია გასული წლის ნოემბერში, „მიხეილ მესხის“ სახელობის სტადიონზე გამართეს. მაშინდელ შეხვედრას საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებების ყველა მწვრთნელი ესწრებოდა. პრეზენტაციაზე ასევე იმყოფებოდნენ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის კლუბების მთავარი მწვრთნელები და მენეჯერები. პირველმა პრეზენტაციამ დიდი ინტერესი გამოიწვია და ყველა მწვრთნელმა ერთხმად აღნიშნა, რომ თანამედროვე ფეხბურთში ძალზე მნიშვნელოვანია ასეთი ვიდეობაზის ქონა. მოკლედ, საინფორმაციო თუ ანალიტიკური თვალსაზრისით, მწვრთნელებისა და სკაუტებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიებაა შესაძლებელი.

ამიერიდან კი, იტალიურ კომპანიასთან გაფორმებული მემორანდუმის მეშვეობით, ამ პროგრამით სარგებლობა საქართველოს ყველა ნაკრებისა და უმაღლესი ლიგის კლუბების სამწვრთნელო შტაბებს შეეძლებათ. „ვისკაუტის“ მხრიდან მემორანდუმს ხელი მოაწერა კომპანიის რეგიონულმა მენეჯერმა ანდრეი ლასიუკმა, ხოლო სფფ-ის მხრიდან – ტექნიკურმა დირექტორმა ნიკოლოზ ჩხეიძემ. მედიისთვის დამატებითი განმარტებები გააკეთა სფფ-ის მასობრივი ფეხბურთის განყოფილების ხელმძღვანელმა დიმიტრი ბოკერიამ.

2014 წლის ზაფხულამდე ამ პროექტს ფინანსურად საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უზრუნველყოფს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ინიესტა: ბავშვობაში პეპ გვარდიოლასა და ლაუდრუპს ვბაძავდი

კატალონიური „ბარსელონას“ ფეხბურთელმა ანდრეს ინიესტამ ესპანურ პრესაში „ბარსასა“ და თანაგუნდელებზე ისაუბრა.

– ბევრი ამბობს, რომ მესის გოლები გააქვს, მაგრამ „ბარსელონა“ ინიესტას გარეშე ეს „ბარსა“ არ იქნებოდა. ეთანხმები ამას?

– ჩემი აზრით, „ბარსელონას“ ძლიერი გუნდი იმ შემთხვევაში უნდა უწოდო, როდესაც ყველა მისი ფეხბურთელი მაქსიმუმს აკეთებს. დღეს „ბარსა“ ლეოსთან ერთად უძლიერესია, ისევე, როგორც მესი – „ბარსელონაში“. ფეხბურთი ინდივიდუალური სპორტი არ არის. ეს გუნდური თამაშია, სადაც თითოეული წევრი წარმატებისთვის თავს არ ზოგავს. მე უკეთ ვთამაშობ, როცა მესი ჩემთან ერთად არის მოედანზე. ლეო კი თავის საუკეთესო ფეხბურთს მაშინ თამაშობს, როდესაც ჩვენთან ერთად არის.

– ერთ-ერთ ინტერვიუში მესიმ განაცხადა, რომ ოქროს ბურთს ინიესტა იმსახურებდა.

– ამის მოსმენა, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა. მით უმეტეს, ლეოსგან. ადამიანი, რომელსაც დიდი ხანია ვიცნობ და პატივს ვცემ. მიუხედავად იმისა, ამ ჯილდოზე ორივე ვიყავით წარდგენილნი, ერთი წუთითაც არ მიფიქრია, რომ კონკურენტები ვართ. ის ჩემი მეგობარი და თანაგუნდელია. გულახდილად ვამბობ, გამიხარდა, რომ ოქროს ბურთი ლეომ მოიპოვა.

– 2011-2012 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გახდი. ყველაზე მეტად რომელი თამაში დაგამახსოვრდა?

– რა თქმა უნდა, ევრო 2012-ის მატჩები, რადგან ესპანეთის ნაკრები ევროპის ჩემპიონი გახდა. მთავარი იცით რა არის? კარგი თამაშით უდიდესი სიამოვნება მიიღო და თითოეული დღით მაქსიმალურად დატკბე. ჩემთვის ყველაფერი ეს ფასეულია.

– ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნე, რომ ფეხბურთში წარმატება პირად ცხოვრება ზეა დამოკიდებული. თუ ამას გავითვალისწინებთ, მაშინ შენს პირად ცხოვრებაში ყველაფერი შესანიშნავადაა.

– ჩემს საფეხბურთო კარიერაში წარმატების საიდუმლო მშვიდი და ლამაზი პირადი ცხოვრებაა. მყავს არაჩვეულებრივი მეუღლე და ქალიშვილი, ოჯახის წევრები, მეგობრები. სწორედ ეს ადამიანები მაძლევენ სტიმულს და ძალას მმატებენ.

– „ბარსელონამ“, რომელიც ერთ-ერთი ძლიერი გუნდი და არაერთი ტიტულის მფლობელია, 2012 წელს მხოლოდ ერთი ჯილდოს მოპოვება მოახერხა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ კლუბში პრობლემებია?

– მე ასე არ ვიტყოდი. ჩვენ ესპანეთის სამეფო თასი მოვიპოვეთ. ასევე ბრწყინვალედ ვიასპარეზეთ ეროვნულ ჩემპიონატზე და ჩემპიონთა ლიგაზე. მესმის, გულშემატკივრები ჩვენგან ყოველთვის გამარჯვებას ელოდებიან. შეიძლება სასურველ შედეგს ვერ მიაღწიო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პრობლემებია. „ბარსელონა“ სწორედ იმისთვის იბრძვის, რომ კვლავ ყველა ტიტული მოიპოვოს.

– შენი თავი სხვა კლუბის მაისურში წარმოგიდგენია?

– მე ყოველთვის ვამბობ, ჩემი ოცნებაა კარიერა „ბარსაში“ დავასრულო. გუნდში, სადაც 12 წლიდან ვთამაშობ და ყველაფერი მომცა იმისთვის, რათა ნამდვილ ფეხბურთელად ჩამოვყალიბებულიყავი. ეს ჩემი სახლია.

– აქვს თუ არა ესპანეთის ნაკრებს შანსი 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონატ ზე იასპარეზოს? ფრანგებთან ფრედ დასრულებულმა შეხვედრამ საქმე გაართულა. ასე არ არის?

– გეთანხმები. გააჩნია, რა დონის მეტოქის წინააღმდეგ გიწევს თამაში. გამარჯვების მოპოვება ყოველთვის რთულია. მით უმეტეს, როცა საუბარი საფრანგეთის ნაკრებზეა, მაგრამ ჩვენი ნაკრები მზად არის დიდი ტრიუმფისთვის და, რა თქმა უნდა, შანსები გვაქვს.

– ბევრი დამწყები ფეხბურთელისთვის მისაბაძი და სამაგალითო ხარ. როდესაც პატარა იყავი, შენი კუმირი ვინ იყო?

– პატარაობაში პეპ გვარდიოლასა და ლაუდრუპს ვბაძავდი. მათ თითოეულ მოძრაობას ვაკვირდებოდი და ვიმეორებდი. ჩემთვის ორივე სამაგალითო იყო. ახლა, როდესაც დამწყები მოთამაშეები მე მბაძავენ, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმეს სწორად ვაკეთებ და ბედნიერი ვარ.

– და ბოლოს, როდესაც შობის საღამოს სადღეგრძელო დალიე, რა ისურვე?

– პირველ რიგში, ჯანმრთელობა. დანარჩენი იღბალზეა დამოკიდებული. ხან კარგად გამოგივა, ხან კი პირიქით, მაგრამ ჯანმრთელობა აუცილებელია, რათა ცხოვრებით დავტკბე და საქმე ბოლომდე მივიყვანო.

80-ზე მეტი ადამიანი პოლიტდევნილის სტატუსის მიღებას ელოდება

გულიკო ბალაძე

სააკაშვილს ყველაზე მეტად საქართველოს პარლამენტის მიერ 190 კაცის პოლიტდევნილად აღიარება აწუხებს, რადგან, როგორც ჩანს, ამ ფაქტმა მას უცხოელ ლიდერებში სახელი შეულახა. კაცი დემოკრატად ასაღებდა თავს და თურმე დიქტატორი ყოფილა. პოლიტიკური ნიშნით დევნიდა ადამიანებს და ციხეებში ყრიდა.



ბოლო დროს, 8 თებერვალს საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებული შეხვედრის შემდეგ, პრეზიდენტის რეზიდენციაში პარლამენტის თავმჯდომარის თანდასწრებით მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, 200 პოლიტიკოსი არ არის საქართველოში და 200 პოლიტპატიმარი როგორ შეიძლება იყოსო და სხვადასხვა ეპითეტით შეამკო ისინი.

როგორც ცნობილია, ამჟამად კომისიას პოლიტპატიმრისა და პოლიტდევნილის სტატუსის მინიჭების თხოვნით 80-მდე პირმა მიმართა. ახლა კომისიაში მათი საქმეების განხილვა მიმდინარეობს. პოლიტპატიმრებად და პოლიტდევნილებად მათ ცნობას სააკაშვილის მხრიდან კიდევ ახალი რეაქციები მოჰყვება.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ აცხადებენ, რომ

პარლამენტმა პოლიტდევნილთა ახალი საქმეების განხილვა გამჭვირვალე უნდა გახადოს.

– საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის ფარგლებში შექმნილი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საქმეების შემსწავლელმა კომისიამ წარდგენილი საქმეების განხილვა უმოკლეს ვადაში უნდა შეძლოს და საზოგადოებას მიეწოდოს გარკვეული ინფორმაცია, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის რა პერიოდი დასჭირდება ახალი საქმეების მიმართ გადაწყვეტილებების გამოტანას, – აცხადებენ ისინი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ შეფასებით, მნიშვნელოვანია, საზოგადოებას ჰქონდეს ინფორმაცია, როდის დაიწყებს საქართველოს პარლამენტის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და დევნილ პირთა საქმეების შემსწავლელი კომისია იმ საქმეების განხილვას, რომლებიც პარლამენტში 2012 წლის 1 დეკემბრიდან დარეგისტრირდა და პოლიტდევნილთა „ახალი სიის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ თქმით, საპარლამენტო კომისიის საზოგადოებრივი განმარტება მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ პოლიტდევნილის სტატუსის მაძიებელ პირებს ჰქონდეთ სწორი მოლოდინი და პროცესის მიმართ მაღალი ნდობა.

– „ახალგაზრდა ადვოკატებს“ გვაინტერესებს წარდგენილი საქმეების გეოგრაფიული შემადგენლობა, საქმეებისთვის შესაძლო პრიორიტეტულობის მინიჭება, განხილვის პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობა და განხილვის შესაძლო ხანგრძლივობა, – აცხადებს „ახალგაზრდა ადვოკატების“ თავმჯდომარე არჩილ კაიკაციშვილი.

ამასთან, ორგანიზაციას პოლიტდევნილთა და პოლიტპატიმართა სიის შედგენის დროს რომელიმე უფლებამოსილი პირის მატერიალური დაინტერესების თაობაზე აზრი სარწმუნოდ არ მიაჩნია, თუმცა, პროცესისადმი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, აუცილებელ და მყისიერ განმარტებებს საჭიროებს.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ აზრით, პოლიტდევნილთა ახალი საქმეების განხილვის ვადების განმარტება მნიშვნელოვანია ემიგრაციაში მყოფი იმ ადამიანებისთვისაც, რომლებიც, პოლიტიკური შეხედულებების გამო, სამშობლოდან გადაიხვეწნენ.

– ორგანიზაციას არაერთმა ასეთმა პირმა მიმართა, რომლებიც საკუთარ თავს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლების დევნის მსხვერპლად მიიჩნევენ. მათ შორისაა ბელგიის სამეფოში 2006 წელს საქართველოდან წასული უფლებადამცველის მერაბ ბლადაძის საქმეც, რომელიც ჩვენი მხრიდან საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტს უკვე გადაეგზავნა.

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ინფორმაციით, 2013 წლის 31 იანვრის მონაცემით, პოლიტდევნილთა ახალ სიაში 80-ზე მეტი ადამიანი დღეს უკვე სტატუსის მიღების მოლოდინშია.

2012 წლის პოლიტიკური ამნისტიის შედეგად საქართველოში პოლიტპატიმრის სტატუსი – 190-ს, პოლიტდევნილის სტატუსი კი 25 პირს მიენიჭა.

სტატუსის მინიჭებისას პარლამენტის ადამიანის უფლებათა კომიტეტი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2012 წლის 3 ოქტომბრის №1900 რეზოლუციითა (დადგენილებით) და ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი კრიტერიუმებით ხელმძღვანელობს.

ხელნაწერთა ცენტრმა სულხან-საბას ლექსიკონი გამოფინა

ეკა ირემაშვილი

ხელნაწერთა ცენტრი ახალ პროექტს იწყებს, რომელსაც „ჯვრის ექსპონატი" ეწოდება. პროექტის ორგანიზატორი ხელნაწერთა ცენტრის გამოფენის დეპარტამენტია. მის ფარგლებში იღია აბულაძის საგამოფენო დარბაზში, ყოველი ოთხშაბათიდან ერთი ჯვრის მანძილზე გამოიფინება ერთი ექსპონატი, რაც დამთვალიერებელს საშუალებას მისცემს უფრო ახლოს გაეცნოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საცავებში დაცული ქართული ხელნაწერი მემკვიდრეობას.

– ნაოსნობა-კლარჯეთში ერთ დროს დაცული თუ გადაწერილი ხელნაწერები მკვლევართა ყურადღებას დიდი ხანია იპყრობს. გამოიცა არაერთი თხზულება, შესწავლილია მინიატურები, კოდიკოლოგიური თავისებურებანი და სხვა. ერთიანი კატალოგი, სადაც თავმოყრილია მცირე ინფორმაცია ტაო-კლარჯული ხელნაწერების შესახებ, პირველია. აღნიშნული კატალოგი ხელს შეუწყობს ტაო-კლარჯული ხელნაწერების შემდგომ კვლევას, – განმარტავენ ხელნაწერთა ცენტრში.

ხელნაწერთა ცენტრმა უკვე მოაწყო გამოფენა „ბაგრატიონთა ხელნაწერები“, რომელიც ქუთაისის მერიის კულტურის განყოფილებამ დავითობის დღესასწაულთან დაკავშირებით დაგეგმა. ეს აღმოჩნდა კულტურულ ღონისძიებათა ციკლი გელათის აკადემიაში. ამ ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ მომზადებული გამოფენა „ბაგრატიონთა ხელნაწერები“. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა ბაგრატიონთა კუთვნილი ხელნაწერების ისტორიის ამსახველი თემატური ბანერები და ცენტრში დაცული რამდენიმე ხელნაწერის ასლი.

ნომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

– ვინაიდან 6 თებერვალი, არის სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) გარდაცვალების დღე, საგამოფენო დარბაზში 13 თებერვლიდან 20 თებერვლის ჩათვლით გამოიფინება სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, გადაწერილი ვინმე ზოსიმეს მიერ 1721-1722 წლებში. ლექსიკონის ზოგიერთი ადგილი თვით საბას ხელითაა ჩასწორებული. მასზე ადსწრება თავისუფალი ად ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაეცნოს ამ უნიკალურ ექსპონატს, – ნათქვამია ხელნაწერთა ცენტრის განცხადებაში.

14 თებერვალს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ილია აბულაძის საგამოფენო დარბაზში გაიმართება ალბომის „ტაო-კლარჯეთი (ხელნაწერი მემკვიდრეობა)“ პრეზენტაცია. ღონისძიებაზე ცენტრის მუდმივმოქმედ გამოფენასთან ერთად წარმოდგენილი იქნება საინფორმაციო ბანერები ტაო-კლარჯეთის ეკლესია-მონასტრებისა და ხელნაწერების შესახებ. ალბომი გამოიცა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ინიციატივითა და აჭარის ავტო-

გიგი უგულავა შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებით პასუხობს

როგორც ცნობილია, შინაგან საქმეთა სამინისტრომ, თბილისის მერი გიგი უგულავა, ძველი თბილისის რაიონის პოლიციის სამართველოში დაკითხვაზე დაიბარა.

უწყების თანახმად, თბილისის მერი, ჩვენების მისაცემად დღეს 12:00 საათზე უნდა გამოცხადდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით გიგი უგულავა განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ნიუსპრესი“ უცვლელად გთავაზობთ:

„მე კიდევ ერთხელ მინდა განვუმარტო საზოგადოებას, თუ რატომ არ მივდივარ დაკითხვაზე პოლიციაში, თუმცა უარს არ ვამბობ თავად დაკითხვის ფაქტზე. შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ საჯარო ბიბლიოთეკასთან განვითრებული მოვლენებისას, მე და ჩემი თანმხლები პირები დავზარალდით, ხოლო პოლიციამ დანაშაულებრივი უმოქმედობა გამოავლინა. კერძოდ, არ უზრუნველყო საზოგადოებრივი წესრიგისა და მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებების დაცვა. 8 თებერვლის დილიდან მთელი დღის განმავლობაში იკვეთებოდა, რომ საჯარო ბიბლიოთეკასთან პროვოკაცია იგეგმებოდა. ყოველივე ამის ფონზე, საგამოძიებო უწყების ხელმძღვანელი ბატონი ღარიბაშვილი გამოდის უკვე მზა პოსტულატებით, ვერსიებით, ბრალდებებით და მოგვიხსენიებს პროვოკატორებად რითაც უდანაშაულობის პრეზუმფციას არღვევს, მაშინ მე როდესაც მოწმის სტატუსით ვარ დაბარებული. ყოველივე ეს ბადებს ეჭვს, რომ მის მიერ წარმოებული გამოძიება ვერ იქნება ობიექტური. ეს ის გამოძიებაა, რომლის ფარგლებში, პოლიციელის ხელის დარტყმისთვის ყოფილ პატიმარს ას ლარიანი ჯარიმა შეუფარდეს და ორი ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლდა პირი, რომელმაც დეპუტატ ქალბატონს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. ასევე არანაირ პრობლემას არ უნდა წარმოადგენდეს გამოძიებისთვის ჩემი შეთავაზება, ვინაიდან ამ შეთავაზებით, ჩემი აზრით სავსებით კეთილგონიერად ისარგებლა საქართველოს პროკურატურამ და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, როდესაც სხვა საქმესთან დაკავშირებით, ჩემი დაკითხვა თბილისის მერიაში განახორციელეს. აღნიშნული სრულ შესაბამისობაშია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აქედან გამომდინარე, ჩნდება ეჭვი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი ცდილობს თავისი საქმიანი უსუსურობა და დანაშაულებრივი უმოქმედობა „გულადი“ საქციელით გადაფაროს, რომ ის პრინციპულია ქალაქის მერისა და დეპუტატების მიმართ და რომ თითქოს შეუძლებელია ჩვენი დაკითხვა სხვა ადგილას განხორციელდეს. ამის შესახებ იურიდიული განმარტებები ჩვენ საზოგადოებას უკვე გავაცანით. ამიტომ, მე მივმართავ გამოძიებას და კვლავ ვადასტურებ, რომ მზად ვარ მივცე ჩვენება. თბილისის მერიაში. ამასთან, მათ შეუძლიათ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 175-ე მუხლის შესაბამისად მიმართონ სასამართლოს და თუ სასამართლო საკითხის განხილვის შედეგად გამოიტანს დასაბუთებულ განჩინებას, პოლიციაში დაკითხვაზე ჩემი მისვლის აუცილებლობის შესახებ, მე საჯაროდ ვაცხადებ, რომ დავემორჩილები მხოლოდ სასამართლოს ასეთ გადაწყვეტილებას. ამასთანავე კატეგორიულად მოვითხოვ, იმისათვის რომ საზოგადოებაში აღდგეს ნდობა წარმოებული გამოძიების მიმართ, დაიკითხოს თავად ირაკლი ღარიბაშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა ის თანამდებობის პირი, რომელსაც კანონით ევალებოდა ადგილზე წესრიგის დაცვა, რაც მათ ვერ უზრუნველყვეს“ – ნათქვამია უგულავას განცხადებაში.

ნიუსპრესი

ვაჩუქოთ აფხაზებს სიყვარული

14 თებერვალს, 18 საათზე, ენგურის ხიდზე, ქართველი ხელოვანები აქციას გამართავენ. პოეტები, მომღერლები, მოცეკვავეები და დიზაინერი ნანა მელქაძე აფხაზებს თავისი შემოქმედებით სიყვარულს აუხსნიან.

„სიყვარულს გჩუქნით“ – ასეთია აქციის სახელწოდება, იდეის ავტორები ბენჯი ჩხაიძე და ნანა მელქაძე არიან, საკუთარ ლექსებს მასთან ერთად ლელა ნინუა, გაგა გომართელი, ბიჭი ივანიშვილი, გიორგი თუშიშვილი წაიკითხავენ, არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან თბილისიდან ჩასულ კოლეგებს შეუერთდება კიდევ ერთი პოეტი, რომლის ვინაობასაც ამ ეტაპზე აქციის ორგანიზატორები არ ასახელებენ. თბილისურ ჯგუფს შეუერთდება ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლი „ნიში“, სამეგრელოდან აფხაზებისთვის სიყვარულის გასაზიარებლად ანსამბლები „ოდოია“, „ჩელა“ და ბაბავშვო ანსამბლი „ცისკარი“, რაც შეეხება ნანა მელქაძეს, ის ენგურის ხიდზე მოწყობილ იმპროვიზებულ პოდიუმზე საქაორწილო კაბების კოლექციას წარმოადგენს,საპატარძლოებად ზუგდიდის ყველაზე ლამაზი გოგონები შეარჩიეს. ერთ-ერთი საქაორწინო კაბა ჩვენებიდან აფხაზ, ახალდაქორწინებულ წყვილს გადაეცემა.

ღონისძიებას არ ყავს სპონსორი, ერთეადერთი მხარდამჭერი ღონისძიებიოს არის სრულიად ქართული მედია და ზუგდიდის გამგებელი ედიშერ თოლორაია, ზუგდის მუნიციპალიტეტის კულტურის სამსახურის უფროსი დარეჯან გაბედავადა ამავე მუნიციპალიტეტთან არსებული მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრის ოდიშის დირექტორი ნინო მამფორია.

ნიუსპრესი



ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ნარკოტიკების მოვაჭრე აშშ-ში; 2. ჰორიზონტალური სამშენებლო კონსტრუქცია; 3. საშემოდგომო ხორბლის ქართული ჯიში; 5. ძვირფასი ქვა, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა ან ორნამენტი; 6. მდინარე სამეგრელოში; 8. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 11. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 13. ისლანდიის პარლამენტი; 14. საათის მექანიზმი; 15. უღელტეხილი აჭარაში; 19. ტრაგედია „ოტელოს“ პერსონაჟი.

თარაზულად: 1. ფერთა სიუხვე, მრავალფეროვნება არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებაში; 4. ქალის როლების შემსრულებელი მსახიობი მამაკაცი იაპონურ თეატრში; 7. ქართული ხალხური საგმირო-პატრიოტული სიმღერა; 9. სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 10. ცხენების სადგომი; 12. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ჩინური ნავთობკომპანია; 16. პოლინელი კომპოზიტორი; 17. საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში, სტანდარტი; 18. ქართველი ტელეჟურნალისტი მამაკაცი; 20. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 22. აზრის არაპირდაპირი ხერხებით, იგავურად გამოხატვა ლიტერატურასა და სახვით ხელოვნებაში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოიდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. სვინგი; 2. სიმდი; 3. რახი; 5. მუღამი; 6. ფლორა; 7. კოპელია; 11. რეიმსი; 13. ამირანი; 14. კროსი; 15. კაპრალი; 16. დოპინგი; 17. ჯულეპი; 19. ატაშე; 20. დოჟი.

თარაზულად: 1. სასწორი; 4. მაგმა; 8. ხეობა; 9. ღადო; 10. ნადური; 12. ლეჩხუმი; 14. კომო; 15. კაბოშონი; 16. დიორი; 18. სარმა; 21. ლობიო; 22. გორჟეტი; 23. შეპარდი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ჰამამი; 2. ოქსინო; 3. მარჟა; 5. კატა; 6. ნუნისი; 8. კენკრა; 11. ზვიადაური; 13. პრომილე; 14. სევილია; 15. ნიგერია; 19. ტიკი.

თარაზულად: 1. ჰიპოპოტამი; 4. მარკონი; 7. მანტისა; 9. ჟაკერია; 10. ოზონი; 12. კაკანათი; 15. ბარაკონი; 17. ლონდონი; 18. სიკოფანტი; 20. რელიგია; 21. ლენი; 22. ცელსიუსი.

გაერომ სირიაში 70 ათასი დაღუპული დაითვალა

სირიის კონფლიქტში დაღუპულთა რაოდენობამ 70 ათას ადამიანს მიაღწია. ამის შესახებ სააგენტო „ფრანს პრესი“ გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისრის, ნავი პილაის მოხსენებაზე დაყრდნობით იტყობინება.

სამოქალაქო ომის დროს დაღუპულთა რაოდენობის დასახელებისას, პილაიმ გაეროს უშიშროების საბჭოც გააკრიტიკა, კონფლიქტის გადაწყვეტის არაეფექტური პოლიტიკისათვის. ადამიანის უფლებათა დამცველმა უშიშროების საბჭოს უმოქმედობას „კატასტროფული“ უწოდა და ამავდროულად, საერთაშორისო სასამართლოს მოუწოდა, გამოძიებულ იქნას კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი ფაქტები, რომელსაც სირიაში აქვს ადგილი.

უკანასკნელი მონაცემებით, სირიაში 60-დან 70 ათას

ადამიანამდე დაიღუპა. ხელისუფლებასა და შეიარაღებულ ოპოზიციას შორის კონფლიქტი ქვეყანაში 2011 წლის მარტიდან დღემდე გრძელდება. ორი წლის განმავლობაში, საერთაშორისო საზოგადოებამ ვერ მონახა ერთიანი გზა კონფლიქტის დასარეგულირებლად. დასავლეთის ქვეყნები შეეცადნენ ბაშარ ასადის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას, თუმცა, ჩინეთმა და რუსეთმა გაეროში რეზოლუცია დაბლოკეს. ეს ორი ქვეყანა მიიჩნევს, რომ კონფლიქტში თანაბარი დამნაშავე ორივე მხარეა.

უშიშროების საბჭო გაეროს მუდმივმოქმედი ორგანოა. გაეროს წესდების შესაბამისად უშიშროების საბჭოს აქვს დაკისრებული მთავარი პასუხისმგებლობა საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნებაზე. იგი უფლებამოსილია იმოქმედოს გაეროს ყველა წევრი სახელმწიფოს სახელით, რომლებიც ვალდებულნი არიან დაემორჩილონ მის გადაწყვეტილებებს და შეასრულონ ისინი. უშიშროების საბჭო განსაზღვრავს მშვიდობისათვის საფრთხის არსებობას, მშვიდობის დარღვევას, აგრესიის აქტს, იღებს რეკომენდაციებს და წყვეტს, რა ღონისძიებები უნდა გატარდეს მშვიდობისა და უსაფრთხოების შენარჩუნების ან მისი აღდგენისათვის. უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს საერთაშორისო კანონის ძალა აქვს და საჭიროების შემთხვევაში, მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და სახიფათო სახელმწიფოების დამორჩილებისათვის ძალადობის გამოყენების უფლებასაც იძლევა.

უშიშროების საბჭოს 15 წევრი ჰყავს, მათგან 5 მუდმივი წევრია (აშშ, დიდი ბრიტანეთი, რუსეთი, საფრანგეთი, ჩინეთი), დანარჩენი 10 კი ყოველ მეორე წელს აირჩევა გენერალური ასამბლეის მიერ. პროცედურულ საკითხებზე საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს მუდმივ წევრთა ერთსულოვანი თანხმობით (გადაწყვეტილება არ მიიღება, თუ მას მხარს არ უჭერს რომელიმე წევრი) და იგი სავალდებულოა გაეროს ყველა წევრისათვის.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

მოსკოვი ფხენიანის წინააღმდეგ

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა მოზამბიკში ყოფნისას დააფიქსირა თავისი პოზიცია ჩრდილოეთ კორეის ბირთვულ ვნებებთან დაკავშირებით.

– ვისურვებდი, რომ თავიდან აგვერიდებინა ბირთვული ცდების გამოყენება სამხედრო ისტერიის გასაღვივებლად, – განაცხადა მან.

ლავროვმა დაადასტურა ექვსმხრივი მოლაპარაკების აღდგენის აუცილებლობა კორეის ნახევარკუნძულის ბირთვული პრობლემის დარეგულირების საქმეში.

– ახალი ბირთვული ცდების ჩატარებით ფხენიანმა კიდევ ერთხელ მოახდინა საერთაშორისო სამართლისა და გაეროს უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებათა იგნორირება, – აცხადებენ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში.

შეგახსენებთ, რომ 12 თებერვალს კორეის სახალხო დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ოფიციალურად განაცხადა მძლავრი, დამანგრეველი ძალის მქონე ბირთვული მოწყობილობის მიწისქვეშა წარმატებული გამოცდის შესახებ. როგორც ვარაუდობენ, კორეაში ბირთვული აფეთქების ძალა 6-7 კილოტონას აღწევდა.

საერთაშორისო საზოგადოებამ უკვე დაგმო ფხენიანის საქციელი. სამხრეთ კორეა კი გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომის მოწვევას ითხოვს.

ფხენიანში აცხადებენ, რომ ბირთვული ცდები მიმდინარეობს თავდაცვის ზომების ფარგლებში და არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართალს.

ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო ჩრდილოეთ კორეის მიერ ბირთვული ცდის ჩატარებას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის დარღვევად აფასებს.

ჩრდილო კორეის მიერ განხორციელებული ქმედება დაგმეს ასევე გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა, აშშ-მ, სამხრეთ კორეამ და დიდმა ბრიტანეთმა.

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ ჩრდილო კორეის მიმართ ახალი საერთაშორისო სანქციები უნდა დაწესდეს და დასძინა, რომ აშშ საკუთარი თავისა და თავისი მოკავშირეების დასაცავად ძალღონეს არ დაიშურებს.

ჩრდილოეთ კორეაში მიწისქვეშა ბიძგებიც დაფიქსირდა, რომელთა ეპიცენტრიც ჩრდილო კორეის ბირთვული პოლიგონის ახლოს მდებარეობდა. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

ბარაქ ობამა კონგრესში სიტყვით გამოვიდა

აშშ-ის პრეზიდენტი, ბარაქ ობამა კონგრესში ყოველწლიური სიტყვით წარსდგა, რომლის მთავარი თემა ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობა იყო. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

ობამას განცხადებით, ეკონომიკის გამოცოცხლებისთვის, პირველ რიგში, საჭიროა საშუალო ფენისთვის დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნას.

„სახელმწიფომ მხოლოდ რჩეულთა კი არა, ყველას კეთილდღეობისთვის უნდა იზრუნოს და ხელი უნდა შეუწყოს თავისუფალ მეწარმეობას“, – აღნიშნა ობამამ სიტყვით გამოსვლისას.

მისივე თქმით, ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი ამ გზაზე „პოლარული ვარსკვლავი“ იქნება. ამასთან ერთად, ობამას განცხადებით, მისი არც ერთი წინადადება საბიუჯეტო დეფიციტს „არც ერთი გროშით“ არ გაზრდის.

ობამას სიტყვას სენატში ისმენდნენ როგორც მომხრეები ასევე მოწინააღმდეგეები იარაღზე კონტროლის დაწესებისა, რომლის შესახებაც დებატები კონექტიკუტში მომხდარი ამბების შემდეგ გამწვავდა.

ობამასათვის საპასუხო სიტყვაში, როგორც მოსალოდნელია სენარტორი რესპუბლიკელი მარკო რუბიო ობამასაგან „მის აკვიატებულ აზრზე – გაზარდოს გადასახადები“ უარის თქმას მოითხოვს.

ბარაქ ობამა ასევე შეეხო ავღანეთში აშშ-ის ჯარების ყოფნის საკითხს. მისი განცხადებით, 2014 წლის ბოლოსთვის ავღანეთში ომი დასრულდება. ამ დროიდან მოყოლებული ერთი წლის განმავლობაში, ავღანეთში აშშ-ის ჯარების რაოდენობა განახევრდება და 34 ათასს შეადგენს, – აღნიშნა აშშ-ის პრეზიდენტმა. დანარჩენი ამერიკელი სამხედროები კი ავღანეთს 2014 წლის ბოლომდე დატოვებენ.

აშშ-ის პირველმა პირმა კონგრესში გამოსვლისას ასევე ისაუბრა ჯანმრთელობის სფეროში გასატარებელ მომავალ რეფორმებზე, იარაღის კონტროლსა და მიგრაციულ პოლიტიკაზე.

აშშ-ის სენატის შეიარაღებული სამსახურის კომიტეტმა კი თავდაცვის მდივნის პოსტზე ექს-რესპუბლიკელი სენატორის, ჩაკ ჰეგელის კანდიდატურას მხარი დაუჭირა. ამის შესახებ „ბიბისი“ იუწყება.

ჰეგელის კანდიდატურა რამდენიმე კვირის წინ აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ წარადგინა. კვირის ბოლოს მის კანდიდატურაზე საბოლოო კენჭისყრა სენატში მოხდება.

თუ სენატი მის კანდიდატურას დაამტკიცებს, მაშინ ჩაკ ჰეგელი პენტაგონში, აშშ-ის თავდაცვის მდივნის პოსტზე ლეონ პანეტას შეცვლის. ნებრასკას შტატის ყოფილი სენატორი, 66 წლის ჩაკ ჰეგელი ვიეტნამის პირველი ვეტერანი გახდება, ვინც თავდაცვის დეპარტამენტს უხელმძღვანელებს.

რომის პაპის გადადგომის მიზეზად მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობა არ სახელდება

რომის პაპმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო გადაწყვიტა თანამდებობა დატოვოს. ამის შესახებ, წმინდა საყდრის, პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა, ფედერიკო ლომბარდიმ განაცხადა და დასძინა, რომ რომის პაპი თანამდებობას ოფიციალურად 28 თებერვალს დატოვებს.

„მილიარდობით კათოლიკესთვის, ის რომის ეკლესიის ეპისკოპოსი, წმინდა პეტრეს მემკვიდრე, ქრისტეს მეუფე და მსოფლიოს ეკლესიების პასტორია. თუ პაპი თავის მოვალეობებზე უარს ამბობს ამ განცხადებას არ სჭირდება არავისთან შეთანხმება“, – აცხადებს რუსეთის ეპისკოპოსების კონფერენციის, საიტის რედაქტორი, პეტრე სახაროვი.

შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, რომის პაპის გადადგომის პრეცედენტი არ დაფიქსირებულა. უკანასკნელი რომის პაპი, რომელმაც ტახტზე უარი თქვა, 1415 წელს, გრიგორი მეთორმეტე იყო. 2000 წელს, ვატიკანში დადიოდა ხმები თითქოს იოანე-პავლე მეორეც აპირებდა თანამდებობის დატოვებას.

მოსკოვის სასულიერო აკადემიის პროფესორის, ალექსეი სვიატოზარსკის აზრით, ბენედიქტ მეთექვსმეტეს გადაწყვეტილება, მხოლოდ ჯამრთლეობის გაუარესებამ არ გამოიწვია. მისი აზრით, დღევანდელი რომის პაპი კონსერვატორია, ხოლო ვატიკანში მეტად მომრავლდა რეფორმისტული განწყობა. „ბენედიქტ მეთექვსმეტე სასტიკად გმობს ქალების რელიგიურად დაწინაურებას. იგივე სასულიერო პირთა ქორწინებას, მითუმეტეს გმობს ჰომოსექსუალიზმს. ახალი პაპი კარდინალების კოლეგიის მიერ, საიდუმლო ხმის მიცემის გზით, იქნება არჩეული. რომის პაპის არჩევისთვის, აუცილებელია კანდიდატმა ხმების ორი-მესამედი მიიღოს, ამიტომ რთულია წინასწარ პროგნოზის გაკეთება“, – აცხადებს სვიატოზარსკი.

შეგახსენებთ, რომ რომის პაპის, ბენედიქტ მე-16-ის მიერ გაკეთებული განცხადების შემდეგ, წმინდა პეტრეს ტაძარს რომში, მეხი დაეცა. ამ ინფორმაციას მედია იტალიურ გამოცემაზე დაყრდნობით ავრცელებს. კადრები ფოტოგრაფმა ფილიპო მონტეფორტემ გადაიღო, რომელიც სააგენტო „ანსას“ თანამშრომელია. ამ მოვლენამ სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია, თუმცა, ინტერნეტის მომხმარებელთა ნაწილი ეჭვქვეშ ელვის ხანგრძლივობას აყენებს.

როგორც ცნობილია, რომის პაპმა გადადგომაზე განცხადება ამ დღეებში გააკეთა. გავრცელებული ინფორმაციით, გადადგომის შემდეგ პაპი გარკვეულ დროს თავის რეზიდენციაში გაატარებს, ხოლო შემდეგ საცხოვრებლად მონასტერში წავა.

თეორიულად, რომის პაპი შეიძლება გახდეს ნებისმიერი, კათოლიკე, თუმცა უკანასკნელი 600 წლის მანძილზე არჩევანი კარდინალებზე კეთდება.

სამგლოვიარო განცხადებები

სამსონ, ცელესტინა, ცისანა, ფატი მათითაიშვილები ოჯახებით იზიარებენ დოდო ვაჭარაძის მწუხარებას დედის

არუსენაკა ვაჭარაძის

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.

შვილები თამაზ და ჯემალ ძაგანიები, რძლები ნანი, ზინა, ნინო და ნინო, შვილიშვილები მარინა, კახა და ბექა, შვილთაშვილები, ნათესავები, მეგობრები ოჯახებით იუწყებიან

ეთერ სამსონის ასულ ძაგანიას

გარდაცვალებას.
პანაშვიდი: 14, 15 თებერვალს.
დაკრძალვა: შაბათს, 16 თებერვალს, 14 საათზე.
მისამართი: ნინოშვილის ქუჩა №19ა.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე

TV პროგრამა

ხუთშაბათი 14 თებერვალი

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 01.50 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია 13.30

„დღეს ორის ნახევარზე“ 15.00 დ/ფ „როგორ შეგვქმნა დედამიწამ“ — დედამიწის სიღრმეში 17.00 „ჩვენი ფერმა“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „რესტავრატორი“ 21.00 ტ/სერ „ბიჭუნა წყალზე“ 22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“ 23.00 თოქ-შოუ: „არენა“ 00.00 მხ/ფ „მზის ჩასვლის შემდეგ“ (პ.ბროსნანი) 02.10 დ/სერ „ტვინი სარკეში“

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „მეცნიერება ფილმებში“ 14.00 დ/ფ „სახელგანთქმული თვითმფრინავები“ 16.00 დ/ფ „სამხედრო საზღვაო ავიაცია“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო აგენტები“ 22.00 „თავისუფალი ტრიბუნა“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „იღბლიანი მოახლე“ 11.20 სერ. „უკვდავი ამბავი“ 12.20 ფორტ ბოიარი 13.00 სერ. „ბაძცევა – 4“ 14.40 სერ. „24 – 5“ 15.40 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „სახიფათო ვნება“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 ქართ. მხ/ფ „ცხელი ძაღლი – 4“ მე–2 სერ. 23.00 მხ/ფ „ტალღებთან მოთამაშე“ (პ.სუეიზი) 01.25 სერ. „ღვინის გზა“ 02.00 მხ/ფ „ბოროტების სავანე“ (მ.იოვოვიჩი) 03.40 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 კომედი შოუ (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „მგზნებარე გული“ 20.05 სერ. „ღირსება და ამბიცია“ 22.00 პროფილი 23.30 ტოპ გოგო 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი. დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.25 მხ/ფ „კასაბლანკა“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.10 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის ღიერი 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35, 21.05 ლექსით ქებათა ქება 10.40 დოკ/ფ „წმინდა მეფე თამარი“ 11.05 იეროვლთა სექტის სწავლების შეცდომები 11.20 ჩვენი ტრაპეზი 11.30 ეპოქის სახელები 12.05 ამინდი 12.15 მხ/ფ „ოთარაანთ ქვრივი“ 13.30 კონცერტი-ანდრია ბოჩელი 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 მხ/ფ „ერთ პატარა ძალაქში“ 17.25 დოკ/ფ „თემის ხეობა“ 18.10 საქართველო არის ესე 18.35 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „ალყა“ 20.40 ძილი ნებისა 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.10 ერთსულოვნების სალონი 22.20, 23.15 უკეთ გავიცნოთ ჩვენი შვილები 23.00 საღამოს ლოცვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 მხ/ფ „კაცია ადამიანი?!“

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

14 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6561
ევრო — 2,2213
ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6095
100 რუსული რუბლი — 5,4915

ამინდის პროგნოზი 14 თებერვლისთვის

11 თებერვლიდან „ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 1. ამერიკული ზღაპრები

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები 1
ამერიკული ზღაპრები



მალე, მალე, მალე „ახალ თაობასთან“ ერთად

ილია II ოქროს ხანა

სამტომეულის მე-2 ტომი

დაპირისპირება ბრიტანეთის სამეფო ოჯახში

მუცლად მყოფი პრინცი ან პრინცესას სახელი შესაძლოა დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახში კონფლიქტის მიზეზი გახდეს. პრინც უილიამსა და მის ფეხმძიმე მეუღლეს კეიტ მიდლტონს, მომავალი შვილისთვის, თუ ის გოგონა იქნება, დიანას დარქმევა სურთ, თუმცა დედოფალი ელისაბედი ამის კატეგორიული წინააღმდეგია.

„დედოფალს აბსოლუტური უფლება აქვს, აკურთხოს ყველა პოტენციური სამეფო შთამომავლის სახელი, მაგრამ ამჯერად მისმა გადაწყვეტილებამ შესაძლოა, ოჯახური კონფლიქტი გამოიწვიოს“, — ყვება სამეფო ოჯახთან დაახლოებული პირი.

„უილიამმა დახმარებისთვის პრინც ჩარლზს მიმართა, მაგრამ მამამ უთხრა, რომ არც ეცდება, ჩაებას ამ ბრძოლაში. ჩარლზს ესმის, რომ შვილს სურს, ამით დედამისის მიმართ პატივისცემა გამოხატოს და მისი სახელი უკვდავყოს, მაგრამ დედოფალი თავის გადაწყვეტილებას არ შეცვლის“, — დასძენს იგივე წყარო. შეგახსენებთ, რომ დეკემბრის დასაწყისში ბუკინგემის სასახლემ ოფიციალურად განაცხადა ქეით მიდლტონის ფეხმძიმობის შესახებ. პირმშოს დაბადებას პრინცი უილიამი და მისი მეუღლე ივლისში ელოდებიან. ამჟამად ცოლ-ქმარი დასასვენებლად კარიბის კუნძულებზე იმყოფება.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ასტროპროგნოზი 14 თებერვლისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

ვერძი — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კირჩხიბი** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **ლომი** — გადაიხალისეთ გარდერობი, საქმიანი შეხვედრა გელით. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, თქვენთვის იყავით. **სასწორი** — გზიდან ფულს და საჩუქარს მიიღებთ. **ღრიანკალი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გადაამოწმეთ ინფორმაცია, ყველას ნუ ენდობით. **მერწყული** — მშვენიერი დღეა, კარგ ხასიათზე ხართ. **თევზები** — მხოლოდ ის საქმე აკეთეთ, რაც აუცილებელია.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

კროსვორდი

შვეულად: 1. ინგლისელი მწერალი ქალი; 2. ქიმიური ელემენტი, მახრჩობელა აირი; 3. ყველაზე დიდი ზომის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 5. ბადმინტონის სათამაშო ბურთი; 6. მართალი, პატიოსანი ადამიანი; 7. ზღაპრული გველეშაპი; 11. ერთი, რომელიმე დარგის საწარმოთა გაერთიანება; 13. სამწახნაგოვანი პირის მქონე პატარა ხანჯალი; 14. რაიმე საკითხთან, საქმესთან, პიროვნებასთან დაკავშირებული დოკუმენტების კრებული; 15. ლელვის ნაყოფში არსებული ალკალოიდი; 16. დაბალი ხარისხის მუშა ნახშირი; 17. დიდი, ხმაურიანი წარმატება; 19. ჟირაფის ერთ-ერთი სახეობა; 20. კურორტი ბორჯომის ხეობაში.

თარაზულად: 1. ალუმინის შემცველი მადანი; 4. პლასტიკურ და რიტმულ მოძრაობათა ხელოვნება; 8. შვეიცარიის დედაქალაქი; 9. ფულის ერთეული თურქეთში; 10. აეროპორტი ტოკიოში; 12. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 14. თეატრის მსახიობთა კოლექტივი; 15. ისტორიული მოედანი ლონდონში; 16. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი; 18. მუზეუმი მადრიდში; 21. ფულის ერთეული პაკისტანში; 22. ქალაქის ელექტროტრანსპორტი; 23. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართული მონასტერი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



თემურ თათარაშვილი სიყვარულის დღეს იმღერებს

რუსეთში მოღვაწე ქართველი მომღერალი თემურ თათარაშვილი ერთი დღით საქართველოში დაბრუნდება და 14 თებერვალს კლუბში „ურბანი“ კონცერტს გამართავს. საღამო სპეციალურად სიყვარულის დღისადმია მიძღვნილი, ამიტომ ამ საღამოზეც ყველა სიმღერა სიყვარულისადმი იქნება მიძღვნილი. მომღერლის გარდა, კონცერტში მონაწილეობას მისი მეგობრები მიიღებენ, თუმცა მომღერალი მათი დაკონკრეტებისგან თავს იკავებს, რადგან ზუსტად არ იცის, ვისთან ერთად იმღერებს კლუბში. ცნობილია მხოლოდ ის, რომ მასთან ერთად მოსკოვიდან სპეციალურად ამ კონცერტისთვის ჩამოვა ლიკა დოლიძე, რომელიც საზოგადოებას რობერტ ბარძიმაშვილის მიერ შექმნილი ჯგუფ „ლახტიდან“ დაამახსოვრდა.

თემურ თათარაშვილი საქართველოში ათწლიანი პაუზის შემდეგ გასული წლის დეკემბერში ჩამოვიდა და 18 დეკემბერს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში მონატრებულ ქართველ მსმენელს შეხვდა. კონცერტმა ემოციების გარეშე ვერ ჩაიარა და მომღერალი ატირდა კიდეც.

ათწლიან განშორებას არაერთი პრობლემა ახლდა თან, მომღერალი ნარკოტიკებთან კავშირის გამო ციხეში იჯდა, თუმცა კოლეგების აქტიურობამ შედეგი გამოიღო და ის 16 თვიანი პატიმრობის შემდეგ შეწყალებულ იქნა. მომღერლის თქმით, მას ემუქრებოდნენ, ამიტომ საქართველოში დარჩენა აღარ შეეძლო და რუსეთში წავიდა, სადაც მოქალაქეობაც მიიღო და ქართველთა ნაწილის რისხვაც დაიმსახურა — მას მოღალატის იარლიყი მიაკერეს. იმდენად გაურთულდა მომღერალს საქართველოში ჩამოსვლა, რომ ვერც შვილის ქორწილს დაესწრო და ვერც შვილიშვილის ნახვა შეძლო.

ფილარმონიაში დაგეგმილ სოლოკონცერტზე თემურ თათარაშვილმა 18 სიმღერა შეასრულა, თუმცა რამდენ სიმღერას შეასრულებს კლუბ „ურბანში“ დაგეგმილ კონცერტზე, გადაწყვეტილი არ არის. როგორც კონცერტის ორგანიზატორი დავით ოქიტაშვილი ამბობს, ეს იქნება კლუბური კონცერტი, სადაც მომღერალს საშუალება მიეცემა თავის მსმენელს კიდევ უფრო მეტად მოეფეროს.

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ოლიმპიურ კომიტეტში ქართულ მედლებს ებრძვიან

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომმა ძალზე გაუგებარი გადაწყვეტილება მიიღო და რეკომენდაციით გამოდის 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების პროგრამიდან ამოღებულ იქნას ჭიდაობის სახეობები.

— საბჭოში შემავალი 14 ადამიანი ამ საკითხზე ხანგრძლივი დროის მანძილზე კამათობდნენ და, შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღებაც ადვილი არ ყოფილა, საბოლოოდ კი ყველაფერი ფარულმა კენჭისყრამ გადაწყვიტა, — ამბობს სოკ-ის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი მარკ ადამსი.

შეგახსენებთ, რომ ერთი პერიოდი სერიოზულად განიხილებოდა ოლიმპიადის პროგრამიდან ბადმინტონის, მაგიდის ჩოგბურთის, ტაეკვანდოსა და თანამედროვე ხუთჭიდის ამოღება, თუმცა ამჯერად მათ საფრთხე არ ემუქრება და რატომღაც მძიმე ვერდიქტი ჭიდაობას ხვდა, რომელიც მსოფლიოს ბევრ ქვეყანაშია განვითარებული და პოპულარული.

მოკლედ, ჭიდაობა შესაძლოა ოლიმპიადის მიღმა დარჩეს და მისი ადგილი კი გორგოლაჭებით სირბილმა, უშუმ, ბეისბოლმა, სკვოშმა, კარატემ, სპორტულმა მეკლდეურობამ ან წყლის დაფებზე სრიალმა დაიკავოს.

საბოლოო გადაწყვეტილებას სექტემბერში ბუენოს აირესში დაგეგმილ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სესიაზე მიიღებენ. თუ ეს გადაწყვეტილება მიიღეს, ყველაზე მეტად ამით საქართველო დაზარალდება.

მას მერე, რაც საქართველო დამოუკიდებლად მონაწილეობს ოლიმპიადებზე, ჩვენმა სპორტსმენებმა ჯამში 25 მედალი მოიპოვეს: 6 ოქრო, 5 ვერცხლი და 14 ბრინჯაო.

აქედან 15 მედალი ჭიდაობაზე მოდის: ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ მანუჩარ კვირკველია (პეკინი 2008) და რევაზ მინდორაშვილი (პეკინი 2008).

ვერცხლის მედლები მოიპოვეს: რამაზ ნოზაძემ (ათენი 2004), რევაზ ლაშხმა (ლონდონი 2012), ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა (ლონდონი 2012) და დავით მოძმანაშვილმა (ლონდონი 2012).

ბრინჯაოს მედლები წილად ხვდათ: ლუკა კურტანიძეს (ატლანტა 1996 და სიდნეი 2000), აკაკი ჩაჩუას (სიდნეი 2000), მუხრან ვახტანგაძეს (სიდნეი 2000), ოთარ თუშიშვილს (პეკინი 2008), გიორგი გოგშელიძეს (პეკინი 2008 და ლონდონი 2012), მანუჩარ ცხადაიას (ლონდონი 2012) და დავით მარსაგიშვილს (ლონდონი 2012).

გამოდის, ოლიმპიური მედლების 56 პროცენტი ჭიდაობის სახეობებზე მოდის. აქედან გამომდინარე ქართული ზარალი ძალიან დიდი იქნება.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა